საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 59 (861)
ოთხშაბათი, 13 აპრილი, 1994 წელი
ფასი 5000 კუპონი

საქართველოს პარლამენტის სხდომა არ გამართულა

12 აპრილისათვის დანიშნული საქართველოს პარლამენტის მორიგი სხდომა არ გამართულა. დარბაზში შეიკრიბა მხოლოდ 60 პარლამენტარი, როცა მათი საერთო რიცხვი 228-ია. ამის გამო არ აღმოჩნდა კვორუმი, რომელიც პარლამენტის 112 წევრს ითვალისწინებს.

პარლამენტს კი უნდა განეგრძო მინისტრთა კაბინეტის წევრების დამტკიცება, რესპუბლიკის ცხოვრების მთელი რიგი სხვა აქტუალური საკითხების განხილვა.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

შეიქმნა თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველო

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველო.

შეიქმნა საგამოძიებო დეპარტამენტი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საგამოძიებო დანაყოფების ერთ სამსახურში გაერთიანების, მათდამი პროცესუალური კონტროლის გაძლიერების, სისხლის სამართლის საქმეთა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საგამოძიებო დეპარტამენტი, როგორც სამინისტროს დამოუკიდებელი სტრუქტურული დანაყოფი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
რესპუბლიკაში პურისა და პურპროდუქტების დამატებითი წარმოების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ქალაქების მერიებისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეულწილად გაუმჯობესდა მოსახლეობის პურით მომარაგებაში შექმნილი მწვავე ვითარება. ამასთან, ჯერჯერობით მაინც ვერ მოხერხდა მოსახლეობის ჯეროვნად დაკმაყოფილება პურითა და პურპროდუქტებით.

რესპუბლიკაში პურის ცხობისა და მაკარონის წარმოების დამატებითი სიმძლავრეების ამოქმედების მიზნით:

1) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უცხოური კრედიტების განაწილებისას:

ა) სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად გაითვალისწინოს მოსახლეობის პურითა და პურპროდუქტებით უზრუნველყოფა;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების, გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური სამთავრობო კომისიის მიერ მომზადებული თანდართული გეგმისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე განიხილოს ამ სფეროში არასახელმწიფო საწარმოებისა და ფირმების უფრო ფართოდ ჩაბმის საკითხი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა, ექსიმბანკმა, პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ, საბაჟო დეპარტამენტმა, საზღვაო სანაოსნომ, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ყველა იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს პურსა და პურპროდუქტებს.

3. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის მერიებმა გამონახონ შესაძლებლობები პურის მინი ქარხნებისა და მაკარონის ავტომატური ხაზისათვის საჭირო საწარმოო ფართის გამოსაყოფად და ხელი შეუწყონ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციას.

4. პურპროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების დამატებითი ღონისძიებების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკურ სამთავრობო კომისიას (ა. მარგიანი).

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საერთაშორისო ჰუმანური დახმარების კოორდინაციის სამსახურის გაუქმების შესახებ

1. საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საერთაშორისო ჰუმანური დახმარების კოორდინაციის სამსახური.

2. დაევალოს საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს ხელმძღვანელს ირაკლი მენაღარიშვილს გადაწყვიტოს საერთაშორისო ჰუმანური დახმარების კოორდინაციის სამსახურის გაუქმების შედეგად გათავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1994 წლის 11 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
გ. აბაშიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალი გრიგოლ აბაშიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1994 წლის 11 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
შ. ნიშნიანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ჟურნალ „საუნჯის" მთავარი რედაქტორი, პოეტი შოთა ნიშნიანიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1994 წლის 11 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
გ. შათირიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის აღორძინებაში განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორი გიორგი შათირიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1994 წლის 11 აპრილი.

ედუარდ შევარდნაძის განცხადება

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ნატო-ს ბომბდამშენების მიერ ქ. გორაჟდეს მიდამოებში ბოსნიელ სერბთა პოზიციების დაბომბვის შესახებ განაცხადა:

— ეს აქცია შეიძლება განხილულ იქნეს არა როგორც მხოლოდ კონკრეტული ერთჯერადი შემთხვევა, არამედ როგორც პირველი სერიოზული დარტყმის მცდელობა ომებზე, როგორც კატეგორიაზე და როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენზე. ეს არის, ფაქტობრივად, ძალით მშვიდობის დამკვიდრების პრინციპის (რომელზეც ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში) სერიოზული აპრობაცია. მომხდარი ფაქტი გაკვეთილი უნდა იყოს ყველა აგრესიული, უპასუხისმგებლო მხარისთვის — იქნება ეს ნაციონალისტური თუ სეპარატისტული ძალა, რომ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების დაცვა, განსაკუთრებით, თუ ეს საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ხდება, აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელ მსოფლიოში არსებობს უფრო დიდი და სამართლიანი ძალა (იგულისხმება გაერო, ნატო), რომელიც მოწოდებულია და შეუძლია უზრუნველყოს მსგავსი აგრესიის ნეიტრალიზაცია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სერიოზული აქციების დაგეგმვისა და განხორციელებისას არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი პოლიტიკური კონსულტაციების ტრადიცია წამყვან სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრში

„აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი", რომელიც 1993 წლის დეკემბერში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნდა, ფართო საერთაშორისო ორიენტაციისა და კომპლექსური თემატიკის ახალი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურაა. „ცენტრის" მიზანია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა გლობალურ პრობლემებზე ფართო მასშტაბის კულტუროლოგიური და პოლიტოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება, ამ ცივილიზაციათა ურთიერთობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების შესწავლა და საქართველოს ისტორიული როლის წარმოჩენა; რელიგიების ისტორიისა და მათი ურთიერთობის შესწავლა კავკასიის რეგიონში, ეთნოკონფესიური, კონფლიქტოლოგიური და სხვა აქტუალური პრობლემების კვლევა, შესაბამის პრობლემებზე მაღალი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების კონცეფციებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

„ცენტრს" ღრმად აქვს გაცნობიერებული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სტრატეგიული ინტერესები; იგი თავის კვლევით საქმიანობაში ეყრდნობა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს და მსოფლიოს უახლეს მეცნიერულ მიღწევებს, ირჩევს სტრატეგიულ პრობლემატიკას, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია ახალი მსოფლწესრიგის ფორმირების პირობებში.

როგორც ცნობილია, „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა ცენტრმა" თავის პრეზიდენტად აირჩია ამ ახალი მსოფლწესრიგის ერთ-ერთი შემოქმედი, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

თავისი ზოგადი პრობლემური ხასიათითა და თემატური მოცულობით „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა ცენტრი" არსებითად საერთაშორისო ორიენტაციის „ჰუმანიტარული აკადემიაა", რომელიც განიხილავს და გლობალურად შეისწავლის წარსულისა და აწმყოს კარდინალურ ჰუმანიტარულ პრობლემატიკას.

ხიდები

თავისი საერთო მიმართულებით „ცენტრი" შექმნილია ისეთი საერთაშორისო კვლევითი ცენტრების ანალოგიურად, როგორიც არის, მაგალითად, „კარტერის ცენტრი", „ჰუვერის ცენტრი", ვაშინგტონის „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრი", „ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემია" ან „კონრად ადენაუერის ფონდი" გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა.

„ცენტრში" იმართება სემინარები და სხდომები, რომლებშიც მონაწილეობენ გამოჩენილი მეცნიერები და პოლიტოლოგები. პირველ ასეთ სემინარზე მოხსენებით გამოვიდა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელიც „ცენტრის" უცხოელ საპატიო წევრად აირჩიეს. „ცენტრის" უცხოელი საპატიო წევრები გახდნენ აგრეთვე თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და „საქართველოში დემოკრატიის მხარდამჭერი ამერიკული კომიტეტის" ხელმძღვანელები — პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნები ჯორჯ შულცი და ჯეიმს ბეიკერი და ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი დოქტორი ჯეიმს ბილინგტონი; ცენტრის საპატიო წევრია აგრეთვე „სოროსის ფონდის" პრეზიდენტი ბატონი ჯორჯ სოროსი.

1994 წლის 18 მარტს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გამართულ „ცენტრის" სხდომა-სემინარზე ბატონი ჯეიმს ბეიკერი გამოვიდა მოხსენებით, რომელიც ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ პრობლემებს, პასუხი გასცა მრავალრიცხოვან შეკითხვებს და მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში. ამავე სხდომაზე მას გადაეცა „ცენტრის" უცხოელი საპატიო წევრის დიპლომი.

• • •

სურათებზე: „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის" პრეზენტაცია აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში; „ცენტრის" თავმჯდომარე აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ბატონ ჯეიმს ბეიკერს საპატიო წევრობის დიპლომს გადასცემს.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი

№ 4. 20 რუსთავის № 8. 67 ზუგდიდის, № 8. 68 წალენჯიხის № 8. 69 ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქებში

საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნების შექმნა

1. საარჩევნო უბნის შექმნა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არა უგვიანეს 28 აპრილისა.
2. საარჩევნო უბნის ნომრების, საზღვრებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართების გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთებში — უბნის შექმნიდან 5 დღის ვადაში.
3. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატურების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის და პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრის დანიშვნა — უბნის სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-6 დღისა.
4. საუბნო საარჩევნო შემადგენლობის შევსება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ — უბნის სიის გამოქვეყნებიდან მე-7-მე-9 დღე.
5. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და 2 წევრის დანიშვნა — უბნის სიის გამოქვეყნებიდან მე-7 — მე-10 დღე.
6. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა — კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არა უადრეს უბნების სიის გამოქვეყნებიდან მე-7 დღისა.
7. ამომრჩეველთა სიების გამოკვრა საარჩევნო უბნებში — არაუგვიანეს 2 ივნისისა (სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში — არა უგვიანეს 9 ივნისისა).

დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა წარდგენა და მათი რეგისტრაცია

8. დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატის წარსადგენად განცხადების შეტანა ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში — 18-25 აპრილი.
9. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ადგილობრივ კანდიდატთა საალრიცხვო ბარათების გადაცემა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის — არა უგვიანეს 30 აპრილისა.
10. ადგილობრივი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — არა უგვიანეს 2 მაისისა.
11. დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — 3-7 მაისი.
12. დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა გვარების გამოქვეყნება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — რეგისტრაციის დამთავრებიდან 7 დღის ვადაში.

წინასაარჩევნო აგიტაცია

13. დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემებისა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულების ტექსტების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — არა უგვიანეს 13 მაისისა.
14. წინა პუნქტში აღნიშნული მასალის გამოცემა და გავრცელება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ — არა უგვიანეს 28 მაისისა.
15. ადგილობრივი კანდიდატების მიერ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული წერილების წარდგენა ადგილობრივი გაზეთებისათვის — არა უგვიანეს 2 ივნისისა.

არჩევნების დაფინანსება

16. არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხის ჩარიცხვა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ — არა უგვიანეს 12 აპრილისა.
17. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების გამოყენებისა და განაწილების წესის დადგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ — არა უგვიანეს 16 აპრილისა.
18. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის თანხების ჩარიცხვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ — არა უგვიანეს 16 აპრილისა.

შეველიოთ იარაღს!

მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენელთა ერთობლივი თათბირისა საქართველოს ყველა შეიარაღებული ფორმირების წევრებისა და სხვა შეიარაღებული პირებისადმი

ძვირფასო თანამოქალაქენო! საქართველოსათვის ამ ძნელბედობის ჟამს, როცა გადასაწყვეტია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები, როცა ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა, როცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სიღატაკის ზღვრამდეა მისული, როცა კრიმინოგენული მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, ხდება მკვლელობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ადამიანთა გატაცება, ქურდობა, ვრცელდება ნარკომანია და სხვა დანაშაულები, როცა სერიოზულად არის ჩავარდნილი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რომელთა აღდგენა-აღორძინებისათვის საჭიროა ძლიერი და ჯანსაღი შრომელი ხელები, ყოვლად დაუშვებელია, სამშობლოს ღალატის ტოლფასია ავტომატებით, პისტოლეტებით და სხვა იარაღით რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში გამოსვლა, მოსახლეობის შეწუხება, ზანდახან კი მათზე თავდასხმა, ძარცვა-ყაჩაღობა, ისედაც გაჭირვებით შეძენილი ქონების წართმევა და სხვა დანაშაულის ჩადენა. ეს ჩვენი თანამოქალაქეების დიდ უკმაყოფილებას იწვევს და აღვივებს მათში ჯარისკაცისადმი სიძულვილის გრძნობას.

თვით სამხედრო მოქმედების ზონაშიც კი მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა-აწიოკება, მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელყოფა, მარადიორობა და სხვა, საერთაშორისო სამართლის ნორმებით უმძიმეს სამხედრო დანაშაულად ითვლება და მკაცრად ისჯება.

რა გაუჭირდა თბილისს, ან რესპუბლიკის სხვა ქალაქსა და რაიონს, რომ ამდენი შეიარაღებული, ფორმიანი თუ უფორმო პირი გამოდის ქუჩაში?! ხშირად ისინი სადღაც შეძენილი, უკანონოდ ჩაცმული სამხედრო ფორმით ევლინებიან ქალაქს, რითაც ჩირქს სცხებენ თავდაცვის სამინისტროს ავტორიტეტს. ვის, რას და რისგან იცავენ ისინი?! მოქალაქეთა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვისათვის არსებობს პოლიცია და სხვა სამართალდამცავი ორგანოები, ნამდვილმა ჯარისკაცმა კი თავისი კეთილშობილური მისია უნდა შეასრულოს, რაც გამოიხატება სამშობლოს დაცვისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. გარდა ამისა, პოლიცია და თავდაცვის სამინისტროს მებრძოლები ერთ საქმეს უნდა ემსახურონ — ყველაფერი გააკეთონ, რათა რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში დამყარდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი.

დღეს საქართველოში იქმნება ნამდვილი რეგულარული არმია, რომლის ჩამოყალიბება და გამოწრთობა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად მოხდება. ყოველი ჯარისკაცი განუხრელად შეასრულებს წესდების მოთხოვნებს, მათ შორის იარაღის შენახვისა და ტარების წესებს.

ამიტომ თხოვნით მივმართავთ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ყველა წევრს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, ნებაყოფლობით ჩააბარონ ისინი ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს, რითაც თავიდან აიცილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და სხვა გაუთვალისწინებელ ტრაგიკულ მოვლენებს, რაც, არც თუ ისე იშვიათად, ხდება ოჯახებსა და სხვა ადგილებში უმეთვალყურეოდ მიტოვებული იარაღის ან მისი უდიერი გამოყენების შედეგად.

ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ ყოველი თქვენგანი შეიგნებს და გაითავისებს ჩვენს თხოვნას, გააანალიზებს და სათანადო დასკვნებს გამოიტანს შექმნილი ვითარებიდან, გაითავისებს იარაღთან თამაშის უაზრობას და ტრაგიკულობას, დროზე შეელევა მას, რითაც წვლილს შეიტანს საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საერთოდ ქვეყანაში სტაბილურობის დამკვიდრებაში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენელთა ერთობლივი თათბირის მონაწილენი.

თბილისი, 8 აპრილი, 1994 წელი.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. ფაცაციამ მიიღო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში მიშელ მეიერი. პრემიერმა მადლობა გადაუხადა მეიერს იმ დახმარებისათვის, რომელიც წითელმა ჯვარმა ბოლო ორი წლის განმავლობაში გაუწია ქართველ ხალხს, განსაკუთრებით — აფხაზეთის რეგიონიდან ლტოლვილებს.

მ. მეიერმა აღნიშნა, რომ წითელი ჯვრის თბილისის წარმომადგენლობას რეგიონული მნიშვნელობა აქვს კავკასიაში.

მ. მეიერმა და ო. ფაცაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის. დასასრულს მეიერმა განაცხადა, რომ საქართველოს კვლავ დასჭირდება წითელი ჯვრის აქტიური დახმარება, როდესაც დაიწყება ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთის რეგიონში.

აფეთქება რედაქციაში

9 აპრილს, დღის პირველი საათისათვის, იმ დროს, როცა ექსპრეზიდენტის მომხრეთა დემონსტრაციის მონაწილენი რუსთაველის პროსპექტით 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალისაკენ მიემართებოდნენ, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" რედაქციაში მესამე სართულზე გაისმა აფეთქების ხმა. წინასწარი მონაცემებით, ბოროტმზრახველებმა დერეფნიდან თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდეს ოთახში და მიიმალნენ. მსხვერპლი არ არის. შენობა დაზიანდა. მიმდინარეობს გამოძიება.

მსჯელობს სოფლის ყრილობა

მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში გაიმართა საკრებულოს ყრილობა. მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სოფელში 1992 წლის 2 დეკემბერს მომხდარი ფაქტის — ცოლ-ქმრის ვლადიმერ და თამარ ხელაიების მუხანათური მკვლელობის ამბავს. ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად მოითხოვეს სასამართლო პროცესის მოწყობა მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში.

ყრილობაზე მიიღეს მიმართვები, რომლებიც გაეგზავნათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

თამაზ როგავა,
საქინფორმის კორ.

გაქურდეს „დია"

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ბაღდათში, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ფირმა „დია", საიდანაც მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მოგებით დაამთავრეს

ენერგეტიკული კრიზისის, ნედლეულის დეფიციტისა და რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ შარშანდელი წელი 197,427 მილიონი კუპონის მოგებით დაამთავრა.

მოგება მთლიანად მოხმარდება ქარხნის კვლავწარმოებას და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

◉ კონტროლის პალატაში

ვინ დაიჭერს კატას კაბინეტში?!.

ამას წინათ ასეთ ფაქტს შევესწარი. კომერციულ აფთიაქში ვიღაც მოხუცი, დავრდომილი ქალი პროვიზორს (თუ მას პროვიზორი ჰქვია) ემუდარებოდა:

— მთელ ზამთარს გრიპი ვერ მოვიცილე, შვილო, სახელმწიფო აფთიაქში სადაც კი შევედი, წამალს ვერსად მივაგენი. იქნებ თქვენ [illegible]?

— [illegible] მეტი რა გვაქვს, ბებო, ამერიკულ ასპირინს მო[illegible] საწინააღმდეგო აბებსა და ცხვირში ჩასაწვეთე[illegible].

— უი, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, აქამდე შემოვლილიყავი მე თავმკვდარი. რამდენი კუპონი უნდა გადავიხადო?

— კუპონი კი არა, რუსული ფული უნდა, 8 ათასი მანეთი!

— ფული ვინ მომაშავა, შვილო, პენსიონერი ვარ, კუპონზე ასპირინი თუ არა, იქნებ ცხვირში ჩასაწვეთებელი მაინც მომცეთ?

— კუპონზე ვერაფერს მოგცემთ, — გაწყრა „პროვიზორი." — წამლები საზღვარგარეთიდან ჩამომაქვს, ვის რათ უნდა იქ თქვენი ნაგავი კუპონი?

— საზღვარგარეთიდან კი არა... ყველამ კარგად იცის საიდანაც შემოგაქვთ, მაგრამ ქვეყანას პატრონი არა ჰყავს და პასუხს ვინ მოგთხოვთ? — ამოიკვნესა დედაბერმა, მერე ჯოხი მოიმარჯვა და კაკუნითა და ხველებ-ხველებით გავიდა აფთიაქიდან.

ეს სურათი დამიდგა თვალწინ რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. რაც იქ ვნახე და მოვისმინე, ყურო ნუ გაიგონებ!

ქალაქში რომ ამდენს „ჭორაობენ", კომერციულ აფთიაქებში სარეალიზაციოდ მართლა შედის ჰუმანური დახმარების მიზნით შემოსული მედიკამენტები? — ამ საკითხით დაინტერესდა კონტროლის პალატა და რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად 5 კომერციული აფთიაქი („ტაქტი", „ფარმატიკა", „იპი", „სნუკერი", „ხავანა") შეამოწმა. ისე თქვენ აგიხდით ყველა სიკეთე, როგორც ეს „ჭორი" ახდა, დასახელებულ აფთიაქებში, მართლაც იყიდებოდა ჰუმანური დახმარებით შემოსული მედიკამენტები. სხვებისგან განსხვავებით, ფირმა „ტაქტის" კომერციულ აფთიაქში თურმე უფრო „ტაქტიანად" ემსახურებოდნენ მომხმარებლებს, რომლებსაც რესპუბლიკის მთავრობის მიერ ევროკრედიტით შესყიდული მედიკამენტებითაც უმასპინძლდებოდნენ. უფრო მეტიც, ყველა აფთიაქი, როგორც წესი, მინისტრთა კაბინეტის დადგენილების დარღვევით (რუსული მანეთით) ვაჭრობს. თანაც ისეთი ფასებით, რომელიც მოსახლეობისთვის ყოვლად ხელმიუწვდომელია.

ეს, რაც შემოწმებულ 5 აფთიაქში ნახეს. მაგრამ რამდენი ასეთი აფთიაქია თბილისში, მთელ საქართველოში? ისინი ჯერჯერობით არავის დაუთვლია, არც იმით დაინტერესებულა ვინმე, ამ აფთიაქებში რა თანხის ჰუმანური დახმარებით შემოსული და ევროკრედიტით შესყიდული მედიკამენტები გაიყიდა და კიდევ რამდენი გაიყიდება? ამის ანგარიში იმათ, ვინც ამ მედიკამენტებით ჯიბეს ისქელებს, ხელს სულაც არ აძლევს (კომერციულ აფთიაქებში ამიტომაც აღრიცხვა ჩაშლილია), ხოლო იმათ, ვინც აფთიაქიდან აფთიაქში დარბის და სიძვირის გამო წამალი ვერ უყიდია, ასეთ ანგარიშს, აბა, ვინ ჩააბარებს?

და აი, პრეზიდიუმზე ბუნებრივად დაისვა საკითხი: რა მოვუხერხოთ კომერციულ აფთიაქებს? გამოითქვა სხვადასხვა აზრი, ერთმა მათგანმა დახურვაც კი მოითხოვა, რასაც პირადად მე ვერ დავეთანხმები. თუ კომერციულ აფთიაქებს დავხურავთ, მაშინ ის მედიკამენტები მთლიანად შავ ბაზარზე მოხვდება და მოსახლეობას მდგომარეობა კიდევ უფრო გაურთულდება. ისინი კი არ უნდა დავხუროთ, ჰუმანური დახმარებით შემოსული მედიკამენტებით ვაჭრობის გზები უნდა გადავუკეტოთ. კერძო აფთიაქარმა, კეთილი ინებოს, მედიკამენტები თვითონ მოიძიოს, ჩამოიტანოს და ისე ივაჭროს. ვერ მოიტანს და ვერ ივაჭრებს? გაკოტრდება, და ყველაფერი ამით დამთავრდება. რაც შეეხება ჰუმანური დახმარების მიზნით გამოგზავნილ მედიკამენტებს, მას კონკრეტული ადრესატი ჰყავს და მისით მხოლოდ ის უნდა სარგებლობდეს.

მაგრამ კომერციული აფთიაქები პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. ახლა ვნახოთ, რა ხდება სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში?

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამედიცინო მომარაგების ბაზაში, მაგალითად, ჰუმანური დახმარებისათვის განკუთვნილი 146 დასახელების მედიკამენტები და სამედიცინო საგნები (ერთჯერადი შპრიცები, შესახვევი მასალა და სხვა) ყოველგვარი აღრიცხვისა და პირველადი დოკუმენტების გარეშე იყო მიღებული. ამასთან, 56 დასახელების მედიკამენტი შემოწმების პერიოდისთვის (1993 წლის დეკემბერი) ხმარების ვადის გასვლის გამო გაუვარგისებული აღმოჩნდა.

ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში შემოსავალში აღებული არ ჰქონდათ შარშან ნოემბერში „პოუპის" პროგრამით მიღებული 77 ყუთი მედიკამენტები და ამერიკელი ბაპტისტების მიერ შემოტანილი 23 დასახელების წამლები.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს №9 განყოფილების საწყობს (გამგე — დ. გურგენიძე) [illegible] 1992 წლის ივნისში შემოსული პრეპარატის „ჰუმულინის" (ინსულინი) 54650 ფლაკონი, იგი მთელ წელიწადს ელოდა განაწილებასა და გაცემას. ამასობაში ხმარების ვადაც გავიდა და პრეპარატი უვარგისი გახდა. მედიკამენტების შემოსავალში აუღებლობის ფაქტები გამოვლინდა ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც.

თუმცა, სხვაგან რა უნდა გაგვიკვირდეს, როცა თვით **ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელზე მოსული ჰუმანიტარული დახმარების მედიკამენტები უსისტემოდ აწყვია სხვადასხვა ბაზაში. აქ ტვირთებს იღებენ წონისა და ყუთების რაოდენობის მიხედვით (სპეციფიკაციის გარეშე), დარღვეულია შემოსავალში აღების მოთხოვნები, რის გამოც, ვერ მოხერხდა შემოსავალ-გასავლის ურთიერთშედარება. სპეციალიზებულ ფარმაცევტულ ბაზაში, სადაც საბერძნეთიდან და თურქეთიდან ჰუმანური დახმარებით მიღებული მედიკამენტები შემოსავალში არ იყო აღებული, ინახებოდა პრეპარატ „რობიტუსინის" 258 დიდი და 2808 პატარა ვადაგასული ყუთი, რომლებიც მთავარ სააფთიაქო სამმართველოს ეკუთვნის. როგორც ამ სამმართველოს უფროსმა ს. გორგოძემ განმარტა, პრეპარატი მიღების პერიოდშივე იყო ვადაგასული, თუმცა, ამის დამადასტურებელი საბუთი შემმოწმებლებს ვერ წარუდგინეს.**

ამ ფაქტების ირგვლივ პრეზიდიუმის სხდომაზე მწვავე, პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რევაზ შავიშვილმა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს მძიმე ბრალდებები წაუყენა.

— შარშან ქვეყანა სისხლად იწრიტებოდა, საავადმყოფოებში მწოლიარე მებრძოლები შესახვევი მასალების, სამედიცინო ხელსაწყოების, მედიკამენტების მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ. ამ დროს კი საწყობებში თურმე თვეობით იწყო დეფიციტური მედიკამენტები. მას არა თუ არ გასცემდნენ, არც კი აღრიცხავდნენ. ალბათ, კერძო აფთიაქებში გასატანად, ფულის გასაკეთებლად ინახავდნენ. თუ არა ეს, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?

— ანდა, რა პასუხი გავცეთ დიაბეტიანებს? მათი თხოვნა-დაღადისი ცას სწვდება და ამ დროს 54650 ფლაკონი ინსულინი კი საწყობში მოუხმარებლობით ფუჭდება. ნუთუ ყოველივე ამისთვის ხალხის წინაშე პასუხი არავინ უნდა აგოს?

თურმე არავინ. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდიუმზე მოწვეულმა პირებმა საქმე იმდაგვარად დახატეს, რომ ყველა საბოლოოდ „მართალი" გამოვიდა. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე გია მჭედლიშვილი, რომელიც ამ სფეროს კურირებდა, მინისტრთა კაბინეტში მთავარ სახელმწიფო მრჩევლად დააწინაურეს (პასუხი არც კი მოეკითხება!). ახალი მოადგილე — თემურ კალანდაძე კი, როგორც თვითონ განაცხადა, წარსულში რა ხდებოდა, საქმის კურსში არ არის.

თავად იმართლა ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსმა ვაჟა დობორჯგინიძემაც — ის ინსულინი მცირე დროით მოქმედი პრეპარატი იყო, დიაბეტიანებს ნემსის ხშირი ჩხვლეტა ეზარებოდათ, დროულად არ გაიტანეს და ამიტომ გაგვიფუჭდათ (?!)

დავიჯეროთ? მეტი რა [illegible] გვაქვს. აი, კონტროლის პალატის პრეზიდიუმს სხდომაზე დიაბეტიანებიც რომ მოეწვია, ეტყობა, სამმართველოს უფროსი ამის თქმას ველარ გაბედავდა!

შარშან, მაისში, ჰუმანური დახმარებით ბათუმის საბაჟოში შემოვიდა 2508,1 ტონა უმაღლესი ხარისხის იტალიური ფქვილი. აქედან 1589,5 ტონა თბილისში ჩამოიტანეს, რომელიც განაწილდა სხვადასხვა ადრესატებზე. დარჩენილი 918,6 ტონა ფქვილი კი რესპუბლიკის პურის მიმღებ კომბინატებზე გაიცა. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში შემოსული 28 ვაგონი ფქვილიდან 18 დაიცალა ფირმა „დიდგორის" საწყობში, ხოლო დანარჩენი 15 ვაგონი ლტოლვილთა განსახლების კომიტეტის თხოვნით ჭიათურაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, გალსა და ქუთაისში გაიგზავნა.

რაც ქნეს, როგორ გამოიყენეს ეს ფქვილი ადგილებზე? ჭიათურაში გაგზავნილი ორი ვაგონი ფქვილი (113 ტონა), მაგალითად, მიღებული აქვს პურის საცხობსაწარმოს. აღნიშნული რაოდენობიდან ჰუმანური დახმარების სახით გაიცა 46,2 ტონა, ხოლო დანარჩენი 66,5 ტონა გადაეცა სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციას (გამომცხვარის ფასად) მოსახლეობაში დასარიგებლად (1 ტონა 48.460 კუპონად, ანუ კილოგრამი 48,5 კუპონად). თუმცა, როგორც ჭიათურელმა ვაჭრობის მუშაკებმა განმარტეს, მათ ობიექტებში მოსახლეობისათვის გასაცემი ფქვილი არ მიუღიათ.

დაახლოებით იგივე განმეორდა ცაგერშიც. რაიონში შემოტანილი 45,5 ტონა ფქვილი გამგეობასთან შეთანხმებით მოსახლეობას გაუნაწილდა (სულზე 10 კილოგრამი, კილოგრამი 10 კუპონად). სად წაიღეს შემოსული თანხა? მძღოლების, გამყიდველების, მუშების შრომის ანაზღაურებაზე დავხარჯეთო, უთხრეს შემმოწმებლებს.

რატომ უნდა ნაწილდებოდეს ლტოლვილთათვის განკუთვნილი პროდუქტები სხვა პირებზე? — სრულიად ბუნებრივად დაისვა ეს კითხვა პრეზიდიუმზე. პასუხის გაცემა არც თუ რთული აღმოჩნდა — ყველაფერი ეს ქაღალდზე გაფორმდა (10 კუპონად ფქვილს ვინ გაყიდდა?), თორემ იმ ფქვილიდან ფულის მკეთებლებმა დიდძალი თანხა რომ ჩაიჯიბეს, განა ეს ვინმესთვის საეჭვოა? თუ არა ფულის კეთების სურვილი, რა აიძულებდა მათ ლტოლვილებისათვის უფასოდ გასაცემი ფქვილი სხვებისათვის გადაენაწილებინათ, პური „გამოეცხოთ" და მოსახლეობისთვის ისე დაერიგებინათ?

ანდა ავიღოთ ასეთი ფაქტი: **ევროპის თანამეგობრობის კომისიის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 2000 ტონა 26-პროცენტიანი ცხიმიანობის ჰოლანდიური რძის ფხვნილი უნდა გა[illegible] (ფხვნილის სახით), ფაქტობრივად კი მთავრობის 1992 წლის 10 ივლისის განკარგულებით რძის ფხვნილი აღსადგენად გადაეცა რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს რძის ქარხნებს.**

იმხანად თბილისში ხმა გავარდა: ჰოლანდიური რძის ფხვნილი დაავადებულია, ერიდეთ, ბავშვები არ მოგეწამლოთო. და აი, გაჩნდა რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მიერ მოწვეულ ექსპერტთა დასკვნა: „ჰუმანური დახმარების მიზნით შემოტანილი ჰოლანდიური რძის ფხვნილი რესპუბლიკაში მოქმედ სტანდარტს არ აკმაყოფილებს და იგი რეალიზაციიდან უნდა ამოვიღოთო". აიკრძალა 1700 ტონა რძის ფხვნილის მოსახლეობისათვის გაცემა. იგი, როგორც უვარგისი, საკვებად უნდა გადასცემოდა მეცხოველეობას.

ასეც მოხდებოდა, კონტროლის პალატის მოთხოვნით განმეორებითი ექსპერტიზა რომ არ ჩატარებულიყო. ფხვნილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვარგისიანი და სარეალიზაციოდ გამოსადეგი აღმოჩნდა. მაშ რისთვის დასჭირდათ ჭორების დაგდება? უბრალოდ, ჩვენებურ „სპეციალისტებს" სურდათ „უვარგისი" რძე ჩამოეწერათ და ჯიბეში მუქთა ფული ჩაედოთ.

აქ, ალბათ, უკეთესია ფაქტების ჩამოთვლა შევწყვიტოთ (პრეზიდიუმზე, იმდენი დაასახელეს, რომ გაზეთის მთელი ნომერიც ვერ დაიტევს) და შექმნილი მდგომარეობიდან ზოგიერთი დასკვნა გამოვიტანოთ. როგორც სხდომაზე ითქვა, ეს იმის ბრალია, რომ არ არსებობს სახელმწიფო კონტროლის ერთიანი მექანიზმი, რომელიც ამ საქმეს დაარეგულირებს. თუ არ შეიქმნა ასეთი მექანიზმი (მიუხედავად მრავალი სამსახურის არსებობისა), მომავალში ამ მხრივ სიტუაცია კი არ გაუმჯობესდება, პირიქით, გაუარესდება კიდეც.

მეორე. ცხადი ხდება, რომ საქართველოში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში მოკალათებული მაფიოზური კლანების მოქმედება თანდათან აქტიურდება. სულ უფრო თვალსაჩინო ხდება საზოგადოების მცირე ნაწილის უსაზღვროდ გამდიდრება, ხოლო უდიდესი უმრავლესობის კიდევ უფრო გაღატაკების აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია. ზოგი, ოღონდ ფული აკეთოს და რწყილსაც კი გაატყავებს. რწყილზე რა მოგახსენოთ, მაგრამ უსინდისონი გაუბედურებული ლტოლვილებისა და დავრდომილი ადამიანების ძარცვით გამდიდრებას რომ არ თაკილობენ, ეს ფაქტია. კმარა, უზნეობა ამაზე შორს ველარ წავა.

სხვათა შორის, კომუნისტებს ბევრ უარყოფითთან ერთად ერთი „კარგი" თვისებაც ჰქონდათ — შავ კატას ოთახში მაშინაც იჭერდნენ, როცა ის იქ არ იყო. ახლა შავი კატებით გაივსო საწყობები, ბაზები, სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურების კაბინეტებიც კი. დამჭერი აღარავინ დარჩა, თორემ... თუმცა, ვნახოთ. როგორც პრეზიდიუმზე ითქვა, კონტროლის პალატის შემოწმების მასალები გადაეგზავნება სახელმწიფოს მეთაურის აპარატს, მინისტრთა კაბინეტს, ხოლო იმ პირთა საქმეს, ვინც აშკარა დანაშაული ჩაიდინა, პროკურატურა გამოიძიებს.

ოთარ ხუციშვილი.

[illegible]რმე უსაფუძვლოდ იზღუდება..

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

უკიდურესად მკაცრი და არაკეთილმოსურნე პოლიტიკა, რომელიც ამ ბოლო დროს ხორციელდება კომერციული სტრუქტურების მიმართ, გვაიძულებს ამ ღია წერილით მოგმართოთ თქვენ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს.

იმ პირობებში, როცა რესპუბლიკა განიცდის ეკონომიკურ კრიზისს, წარმოების დაქვეითებას, ინფლაციას, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემას, მოიძებნება ცალკეული სახელმწიფოებრივ ორგანოები, რომლებიც თავიანთი მოუფიქრებელი ქმედებით კიდევ უფრო ამძიმებენ შექმნილ ვითარებას. იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კომერციული სტრუქტურების საქმიანობის შეზღუდვას. ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს მეწარმეთა აღშფოთება, რომელთა უმრავლესობა ცდილობს სახელმწიფოს დაეხმაროს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წ. 25 ივლისის მოქმედი კანონის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" მე- 10 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ მეწარმე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სახელმწიფოს ჩარევა მეწარმის საქმიანობაში დაუშვებელია, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოში მეწარმეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტია სახელმწიფო.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში ზოგჯერ სხვანაირად ხდება. მეწარმე უსაფუძვლოდ იზღუდება თავის კომერციულ საქმიანობაში, მაგრამ სახელმწიფო მას არ იცავს.

კერძოდ, სახელმწიფო არა თუ ვერ უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობის ნორმალური არსებობისა და განვითარებისათვის ისეთი ელემენტარული პირობების შექმნას, როგორიც არის კავშირგაბმულობა, საბანკო ოპერაციების სანდოობა და სისწრაფე, ელექტროენერგიის მიწოდება, ტრანსპორტის მუშაობა, კრიმინალური ელემენტებისაგან დაცვა და სხვა, არამედ თავისი ოფიციალური უწყებების ხშირი უკანონო ჩარევით პირდაპირ ზარალს აყენებს მეწარმეებს.

1993 წ. 26 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ნაღდი ვალუტის გაყიდვა უნაღდო ანგარიშსწორებით. სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა", როგორც ნიადაგ კანონის მორჩილი ორგანიზაცია, დაემორჩილა ამ ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს, მაგრამ მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს, მინისტრთა კაბინეტს, პროკურატურას და სხვა ინსტანციებს, რათა მათ ემოქმედათ ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნული უკანონო გადაწყვეტილების გასაუქმებლად, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება ემსახურებოდა მხოლოდ ეროვნული ბანკის ვიწროუწყებრივ და მისი ზოგიერთი თანამდებობის პირის პიროვნულ ინტერესებს. ჰიპერინფლაციის პირობებში თუ ეროვნული ბანკი ვერ უზრუნველყოფს უნაღდო ანგარიშსწორების სისწრაფეს და იგი რამდენიმე საბანკო დღის განმავლობაში გრძელდება, ვალუტის ყიდვა-გაყიდვა უნაღდო ანგარისწორებით ყოველგვარ აზრს კარგავს. თუ ამას დავუმატებთ, რომ უნაღდო ანგარიშსწორებით სავალუტო ანგარიშზე მოხვედრილი ვალუტის გამოტანას სამეურნეო საჭიროებისათვის ეროვნული ბანკი კრძალავს (ნებადართულია მხოლოდ სამივლინებოთ), გასაგები გახდება, თუ რატომ აძლევთ ხელს მეწარმეებს ნაღდი ვალუტის შესყიდვა უნაღდო ანგარიშსწორებით, ხოლო ეროვნულ ბანკს — ამ ოპერაციების აკრძალვა. ამასთან, თუ ამას დავუმატებთ, რომ „კავკასიის ბირჟაზე" აღნიშნული ოპერაციების მოცულობა ლეგალური ვაჭრობის შედეგად რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს და რამდენიმე ათეულ ათას დოლარს აღწევდა, გასაგები გახდება, თუ მისი აკრძალვის შემდეგ რამდენი აღრიცხული შემოსავლის მიღების შესაძლებლობა დაკარგეს სახელმწიფოს ბიუჯეტმა და „კავკასიის ბირჟამ".

სამწუხაროდ, უკვე ერთი წელიწადია სახელმწიფო რეაგირებს მისთვის და სამეწარმეო სტრუქტურებისათვის მიყენებულ დიდძალ ზარალზე. რისი გამომწვევი მიზეზიც არის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის 1993 წ. 26 მარტის № 2/4 უკანონო გადაწყვეტილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის 1993 წ. 17 მაისის № 7-8 გ-93 წარდგინებით სავალუტო ოპერაციების ლიცენზირებისა და რეგულირებისას დაშვებული კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრის შესახებ, ზემოაღნიშნული ეროვნული ბანკის გამგეობის გადაწყვეტილება აღიარებულია უკანონოდ და ერთი თვის განმავლობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი კანონთან შესაბამისობაში, მაგრამ ამაოდ.

ბატონო ედუარდ! მოგმართავთ იმ იმედით, რომ იქნება მიღებული ზომები და გაიცემა განკარგულება, რათა კომპეტენტურმა ორგანოებმა აღნიშნული საკითხი უფრო ღრმად შეისწავლონ და რესპუბლიკის ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე კანონიერ საფუძველზე გადაწყვიტონ.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჩარევა დადებით შედეგს მოიტანს.

საქართველოს თავისუფალ მეწარმეთა ეროვნული კავშირი, ბროკერთა გილდია.

სადღეისო პრობლემა

მეტროს მშენებლობა უნდა განვაახლოთ

დროის სიმკაცრემ დედაქალაქში მიწისქვეშა ტრანსპორტის სისტემა თითქმის მთლიანად მოშალა. ამ საყოველთაო შეჭირვების ჟამს თბილისის მოსახლეობას ერთადერთ იმედად მეტროპოლიტენი ექცა, რომელიც, ასე თუ ისე, აცოცხლებს ქალაქს, ერთ რაიონს მეორესთან აკავშირებს.

მეტროპოლიტენის დიდი სიკეთე ყველას კარგად ესმის. თუმცა ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ სახელმწიფო უწყებაზე, კერძოდ ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკზე. ისინი რატომღაც, შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენდნენ მეტროპოლიტენის მშენებლობის მიმართ. ისე კი, ყველამ ვიცით, თუ უკანასკნელ ორ წელიწადში როგორ განიავდა სახელმწიფო სახსრები საბაზრო ეკონომიკის დაფინანსება-დამკვიდრების ნიღბით. კერძოდ, 1993 წელს ქორვაჭრებისათვის სახელმწიფო ბანკიდან ლაღად გამეტებული ასეული მილიარდებიდან, სამწუხაროდ, ვერ გამონახეს 600 მილიონი მანეთი, რომელსაც მეტრომშენი ითხოვდა და რომელიც გადაარჩენდა მშენებლობას, რადგან პირველ კვარტალში ამ თანხით კიდევ შეიძლებოდა დასამთავრებელი ობიექტებისთვის რუსეთიდან საჭირო საშენი მასალების შემოტანა. მოგვიანებით გამოყოფილი თანხა ინფლაციამ შთანთქა. ნუთუ წლეულსაც იგივე უნდა გამეორდეს? აი, პირველი კვარტალი გადის და ჯერ რეალურად არაფერია გამოყოფილი. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ წერილით მიმართა პარლამენტს — იზრუნოს მეტროპოლიტენის მშენებლობის დაფინანსებისთვის. ხელისუფლებისათვის ბრძოლის მარათონში ჩაბმულ დეპუტატებს კი... დრო ვერ გამოუნახავთ ამ საკითხზე მსჯელობისათვის.

ფირმა „თბილმეტრომშენის" სხვა ობიექტებზე რომ არაფერი ვთქვათ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია სადგურ „უნივერსიტეტის" მიმართულება, რომლის მთლიანი ღირებულება 1984 წლის ფასებით 42 მილიონ მანეთს შეადგენს. დღეისათვის, როგორც მეტრომშენებელთა თავკაცმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა უშანგი გოჯიაშვილმა აღნიშნა, ათვისებულია 35,5 მილიონი მანეთი. ამჟამად დარჩენილია 6,5 მილიონი მანეთის სამუშაოები. არსებობს აშკარა საშიშროება, მშენებარე ობიექტების დაკონსერვებისა, რაც უზარმაზარ, უაზროდ გადაყრილ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. წყლის ამოტუმბვა, გვირაბების განიავება, მათი დაცვა დანგრევისაგან, ღია წესით მშენებარე ქვაბულისა და მისი მიმდებარე საცხოვრებელი სახლების გადარჩენა (ზოგიერთი მრავალსართულიანი სახლი 15-17 სანტიმეტრზეა დამჯდარ-დაწეული) მოითხოვს სულ ცოტა 100 მილიარდ კუპონს. რაღა თქმა უნდა, მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტების კონსერვაციას დიდ ფინანსურ ზარალთან ერთად მოჰყვება აუნაზღაურებელი ინტელექტუალური დანაკარგიც — მეტრომშენებელთა მაღალკვალიფიციური კოლექტივის დაშლა. ზემოთ აღნიშნული თანხის დახარჯვა, სამწუხაროდ, გარდაუვალია, თუმცა საკმარისია ამ თანხას ამდენივეც დაემატოს და სახელმწიფოს ფულიც აღარ დაიკარგება, მშენებლობა კი წინ წავა. ამიტომ საჭიროა ზემოთ აღნიშნულმა შესაბამისმა ორგანიზაციებმა შესაძლებლობის ფარგლებში გამონახონ თანხები ინფლაციის გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფდა მეტროს მშენებლობის გაგრძელებასა და უახლოეს მომავალში მის დამთავრებას.

• • •

რასაკვირველია, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის განახლება-გაგრძელება სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სათანადო სახსრების გარეშე თითქმის შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ერთი დიდი რეზერვი, რომლის ამოქმედებაც უთუოდ მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემდა. ეს არის ნებაყოფლობითი, სახალხო ფულადი ფონდის „მეტროპოლიტენის მშენებლობა — 94"-ის შექმნა, რომლის ინიციატორად გამოსვლასაც აპირებს თბილისის ვაკის რაიონის საზოგადოებრიობა. ამჟამად ვაკის რაიონის გამგეობაში (თავმჯდომარე — ომარ ძლენტი) მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ამ ფონდის დაფუძნებისთვის.

ვაკის რაიონის მოსახლეობა, გამგეობა, რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის პარლამენტი, მთავრობა უყურადღებოდ არ დატოვებენ მეტროპოლიტენის მშენებლობის დაფინანსების საკითხს, ხოლო ამ მიზნით მათ მიერ შექმნილ ფონდში თავის წვლილს შეიტანს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, საწარმო-დაწესებულება, სამინისტრო, კომერციული სტრუქტურა, პარტია, საზოგადოება. მათ იმედი აქვთ, რომ ამ ფონდს შეეწევა რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველობა.

— ბიუჯეტი პლუს სახალხო ფონდი — გვითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა კლიმენტი ელიზბარაშვილმა, — ეს საკმაო გარანტიაა იმისთვის, რომ ჩვენმა მეტრომშენებლებმა დაწყებული საქმე წარმატებით დაამთავრონ. ეს კი დედაქალაქის მოსახლეობისათვის, სტუდენტი ახალგაზრდობისათვის დიდი შეღავათი და ხელშეწყობა იქნება.

მეტროპოლიტენის მშენებლობის განახლებისათვის საქველმოქმედო ფულადი ფონდის დაფუძნებასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში ვაკის რაიონში შესაძლებლად მიიჩნევენ სტუდენტური შრომითი ბრიგადების შექმნასაც მშენებელთა დასახმარებლად. ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნას გამოთქვამენ აგრეთვე ვაკის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები, პენსიონერები.

გადავაქციოთ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა დედაქალაქის სახალხო მშენებლობად! — ასეთია ვაკის რაიონის მშრომელთა სურვილი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წამოწყება ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმე და საყოველთაო მხარდაჭერის ღირსია.

ხვთისო არჩემაშვილი,
მერი სეხნიაშვილი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

— ოჯახის წევრი თუ 15-20 წლის მანძილზე ამოწერილია და ცხოვრობს სხვაგან, არ მონაწილეობს ამ ოჯახის საქმიანობაში, ეკუთვნის თუ არა მას წილი?

პიროვნებას, რომელიც ცხოვრობდა ქალაქში და სოფელთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა, ხოლო მიწის რეფორმის დაწყების დროს ამოეწერა ქალაქიდან, ჩაეწერა სოფელში (ოჯახის დანარჩენი წევრების გარდა), ასეთ პიროვნებას რა რაოდენობის საკარმიდამო ფართობი ეკუთვნის? — დავით ფერაძე, ზესტაფონი.

საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ოჯახთან კავშირგაწყვეტილი პიროვნება ამ ოჯახის ქონებაზე უფლებას კარგავს.

მიწის პრივატიზაციის დროს ქალაქიდან ამოწერილი და სოფლად მუდმივ საცხოვრებლად (საპასპორტო წესების დაცვით) ჩაწერილი მოქალაქე, რომლის ოჯახის დანარჩენი წევრები საცხოვრებლად ქალაქში დარჩნენ, შეიძლება დაკმაყოფილდეს სარეზერვო ფართობებიდან მეორე კატეგორიას მიკუთვნებულ მოქალაქეთათვის განსაზღვრული მიწის რაოდენობით. ოღონდ ქალაქად და სოფლად მცხოვრები ამ ოჯახის წევრების კუთვნილი მიწის ყველა ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ერთ დადგენილ ნორმას.

●

— დედაჩემს ჰყავს სამი ვაჟიშვილი. 15 წელიწადზე მეტია სამივე ცალ-ცალკე ვცხოვრობთ. მე, შუათანა, დედის გვერდით ვცხოვრობ. სახლი კანონით გვაქვს გაყოფილი და მე გადასახადს ცალკე ვიხდი, დედაჩემი კი ცალკე. იმის თქმა მინდა, რომ ცალ-ცალკე კომლად ვითვლებით. მხოლოდ ეზო გვაქვს საერთო.

მიწების დარიგებამდე მე და დედაჩემი სხვადასხვა კატეგორიას მიგვაკუთვნეს. მერე შეცვალეს და გვითხრეს — თქვენ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობთ და ამიტომ ერთ კატეგორიას მიეკუთვნებით. საინტერესოა, მაშინ რატომ არ ვითვლებოდით ერთ ოჯახად, როცა 15 წლის მანძილზე მინიმუმის შესრულებას მეურნეობაში ცალ-ცალკე გვთხოვდნენ?! — ნოდარ ბუდაძე; ხარაგაული.

— სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა სარეფორმო მიწებით დაკმაყოფილება ხორციელდება 1992 წლის პირველი იანვრისათვის აღრიცხული კომლების მიხედვით. ერთმშვილიან კომლს მიწის ცალკე ნორმა არ გამოეყოფა.

თუ მშობლებიდან ერთადერთი ან სხვა შვილების გამოყოფა მომხდარია 1992 წლის პირველ იანვრამდე, მიწის ნაკვეთებით მათი დაკმაყოფილების საკითხს, კომისიის წარდგინებით, იხილავს და წყვეტს სოფლის მოსახლეობის საერთო კრება, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი და დედათქვენის მიწის ნაკვეთებით ცალ-ცალკე დაკმაყოფილება დამოკიდებულია მოსახლეობის საერთო კრების დადგენილებაზე.

●

— ვცხოვრობ გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსამგორში. ზოგ[illegible] წიგნის ჩანაწერებით მერიცხება 1500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, კანონით მეკუთვნის 2500, მაგრამ არ მომიღია. ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვე, რომ დამატებითი მიწის ნაკვეთი მოეცა ქალაქ გარდაბანში, მაგრამ თავი შეიკავეს. გთხოვთ, მიპასუხოთ, კანონიერია თუ არა მათი მოქმედება? — ვალერიან მექვაბიშვილი, ქალაქი გარდაბანი.

— რაკი თქვენ გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსამგორში ცხოვრობთ, სადაც გაფორმებული გაქვთ და სარგებლობთ 0,15 ჰექტარამდე საკარმიდამოთი, დამატებით მიწის ნაკვეთს 0,25 ჰექტარამდე შესასრულებლად ქალაქ გარდაბანში არ გამოგიყოფენ.

ESM
თბილისი/TBILISI

ევროპული განათლება და ევროპული დიპლომი თბილისში

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM-თბილისი ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელიც ევროპულ დიპლომს გასცემს

ESM-თბილისი ESM-International-თან ერთად ამზადებს ფინანსების მენეჯერს, მარკეტინგის მენეჯერს და საერთაშორისო-კომერციული საქმიანობის მენეჯერს. გათვალისწინებულია სტაჟირებები და პრაქტიკები საზღვარგარეთის ქვეყნებში. კურსდამთავრებული მიიღებს ESM-International-ის დიპლომს.

ESM-თბილისი მოსბახის სპეციალურ აკადემიასთან (გფრ) ერთად ამზადებს მენეჯერს წარმოების დარგში. დამამთავრებელ კურსს სტუდენტები გერმანიაში გაივლიან. კურსდამთავრებული მიიღებს მოსბახის სპეციალური აკადემიის დიპლომს.

სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები 25 წლის ასაკამდე. სწავლება ფასიანია. მისაღები გამოცდები ჩატარდება ივლისში მათემატიკაში (ტესტები), უცხო ენაში (ტესტები) და ქართულ წერაში (წაკითხულის შინაარსი).

შაბათს, 16 აპრილს 12 საათზე გიწვევთ ღია კარის დღეზე, სადაც შესაძლებლობა გექნებათ გაივარჯიშოთ მათემატიკისა და უცხო ენის ტესტურ გამოცდებში და პასუხი მიიღოთ თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39.16.73 39.44.57
ან მობრძანდით: ვაჟა-ფშაველას 40,
ESM-თბილისი, ოთახი N 409

იყიდება
აკვარელში შესრულებული გაბაშვილის სამი პორტრეტი
დარეკეთ 221-888.
იკითხეთ ჯანო.

გთავაზობთ
უნაღდო ანგარიშსწორებით საწერ და საბეჭდ ქაღალდს (ფორმატი A4) ადგილზე მიწოდებით.
ტელ: 38-91-64

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათეული წლების [illegible] ხანებში მოხვედრილი არაერთი შორეული სტუმარი, რომელიც ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული ქართველიც კი ბათუმსა და მთლიანად აჭარას მხოლოდ საკურორტო ოაზისად მიიჩნევდა, მხოლოდ ტურისტის თვალით გაჰყურებდა აისიდან დაისამდე მზის კაშკაშსა და ტალღების ხალხუნს, ზღვის, ციტრუსის, ბედნიერ ალაგად თვლიდნენ საქართველოს ამ დალოცვილ კუთხეს.

ამიტომაც გარდა სამსახურებრივი მოვალეობებით დაინტერესებულ ადამიანთა ვიწრო წრისა, ნაკლებად უფიქრია ვინმეს, რომ აჭარა სრულიად საქართველოს ინდუსტრიის, მისი მრეწველობის ის ერთ-ერთი უმძლავრესი არტერიაა, რომლის ძალუმი ფეთქვაც ბევრად განაპირობებს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის სიძლიერეს.

დღეს, როცა საქართველოს ყოველი დარგი და მათ შორის მრეწველობაც უმძიმეს პირობებში იმყოფება, ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოთა სადღეისო პრობლემებსაც შევეხმიანოთ, რისთვისაც ინტერვიუ ვთხოვეთ აჭარის მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილეს თამაზ ბოლქვაძეს.

ეკონომიკა: პრობლემები. პერსპექტივა

თუ საქმეს გულით მოვეკიდებით

— ბატონო თამაზ, ამ გამრუდებული პოლიტიკური და ეკონომიკური ყოფის ჟამს, როცა ქვეყანა ურთულესი პრობლემების წინაშე დგას, უმეტესწილად აჭარას ასახელებენ სამაგალითოდ როგორც სტაბილურობის, სიმშვიდის, შედარებით უკეთესი ეკონომიკური პირობების ნიმუშს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა ვითარებაა ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბევრი უზარმაზარი საწარმო დღეს თითქმის ვეღარ მუშაობს?

— მოგახსენებთ: ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების მიუხედავად აჭარის მრეწველობის არაერთ დარგში გაწეულია გარკვეული სამუშაოები, გადადგმულია ფრიად ნაყოფიერი, მე ვიტყოდი, ერთობ გაბედული ნაბიჯები, რათა პროგნოზით გათვალისწინებული დავალებები დროულად შესრულდეს.

თუმცა, ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ ჩამეთვალოს, ციფრებსაც მოვიშველიებ. 1993 წელს გამოშვებულია 100,5 მილიარდი კუპონის სასაქონლო პროდუქცია (შესადარ ფასებში), წარმოებულია 7,2 მილიარდი კუპონის სხვადასხვა სახის საქონელი, სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს შესრულებული აქვს 81,3 მილიონი კუპონის სამუშაოები. ზარშანვე მომხმარებლისთვის გადატვირთულია 13,7 მილიარდი კუპონის პროდუქცია. მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავიტანეთ 5,5 მილიარდი კუპონის საქონელი. სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულების გათვალისწინებით გაგზავნილია 462,3 მილიონი კუპონის სხვადასხვა სახეობის ნაწარმი.

— ალბათ, ხელშემშლელი მიზეზებიც საკმაოდ გექნებათ. ძირითადად რა წინააღმდეგობებს აწყდებით?

— დღეისათვის წარმოების მოცულობის შემცირების ძირითადი მიზეზია მასალა-ნედლეულით მომარაგებასა და ენერგეტიკაში შექმნილი სიძნელეები. ალბათ, აქაც უპრიანია ფაქტების დასახელება. შარშან საწარმოებმა სხვადასხვა გზებით მიიღეს მხოლოდ 630 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, მაშინ როცა მოთხოვნილებით ვითვალისწინებდით 10 000 ტონას, შესაბამისად მიღებულია 51 ტონა ფერადი ლითონი, ნაცვლად 950 ტონისა, ასევე საჭიროზე ბევრად ნაკლები მერქან-ბურბუშელოვანი და მერქანბოჭკოვანი ფილები, ქსოვილი და სხვა. ასე რომ, წლის განმავლობაში საწარმოები არსებული სიმძლავრეების სანახევრო დატვირთვითაც კი ვერ მუშაობდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი დიდი ხნით საერთოდ გაჩერებული იყო.

ასევე, ტრანსპორტზე შექმნილმა მძიმე ვითარებამ განაპირობა ის, რომ საწარმ[illegible] [illegible]წყობებში დიდი ოდენო[illegible] [illegible]უქციის ნაშთები დ[illegible] იანვრისათვის [illegible] ბულებებს დაერიცხ[illegible] [illegible] მილიარდი კუპონის ღირებულების მზა პროდუქციის ნაშთები, მათ შორის ისეთ მძლავრ საწარმოებს, როგორიცაა ელექტრომექანიკური, გემთმშენებელი, მანქანათსაშენებელი და ტრანსფორმატორების ქარხანა.

მიუხედავად სიძნელეებისა, საწარმოთა უმრავლესობამ შეძლო პროგნოზით გათვალისწინებული მოგების მიღება, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ფინანსური მდგომარეობა მაინც არადამაკმაყოფილებელია.

— რას აკეთებს სამინისტრო მდგომარეობის გამოსწორებისათვის და რა თანადგომას გიწევთ ამ მხრივ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა?

— აჭარაში დღესდღეობით საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ბევრად უკეთესი მდგომარეობა რომ არის, ეს თითქმის მთლიანად რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, უშუალოდ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ასლან აბაშიძის დამსახურებაა.

რაც შეეხება ჩვენს სამინისტროს, იგი საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს ინვესტიციების მოზიდვისათვის. აქაც ბატონი ასლანის დიდმა ავტორიტეტმა და ძალისხმევამ შეგვიწყო ხელი. სწორედ მისი ინიციატივით და პირადი მოწვევით აჭარას ესტუმრნენ ინგლისელი ექსპერტები, რომლებიც დაგვეხმარნენ საინვესტიციო პროექტების მომზადებაში. დამუშავებული პროექტები ითარგმნა რუსულ და ინგლისურ ენებზეც და დარგების მიხედვითა და საწარმოთა პოტენციალის გათვალისწინებით დაურიგდა მომხმარებელ საწარმოებს. გათვალისწინებულია ამ საწარმოთა რეკონსტრუქცია, კვლავაღჭურვა, დაწყებული ობიექტების მშენებლობის დამთავრება, ერთობლივი წარმოების შექმნა და სხვა.

ამჟამად მიმდინარეობს მო[illegible] [illegible] ელექტ[illegible] [illegible] და ბულგარეთის [illegible] შორის ერთობლი[illegible] [illegible]ტროამწე მანქანების შექმნის თაობაზე. უკვე ჩამოყალიბდა რუსეთ-საქართველო-თურქეთის ერთობლივი საწარმო „ქიმიკოსი“. უნდა აღინიშნოს ბათუმის სამკერვალო-საწარმო გაერთიანებისა და ინგლისის ერთ-ერთ ფირმას შორის გაფორმებული ურთიერთობა, ფირმას ბათუმში ჩამოაქვს მასალა-ნედლეული, ფაბრიკა კი კერავს, რის შედეგად უკვე მიღებულია სავალუტო შემოსავალი.

წლეულს გათვალისწინებული გვაქვს 200 მილიარდამდე კუპონის პროდუქციის გამოშვება, რისთვისაც მილიარდამდე რუსული მანეთის ნედლეულის შემოზიდვა დაგვპირდება რუსეთიდან. ამის გამო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ მოამზადა ნუსხა, რომელიც გაიგზავნა საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის და ვაჭრობის მატერიალური რესურსების სამინისტროებში.

— თქვენ აქ რუსეთი და რუსული მანეთი ახსენეთ, ზრუნავს თუ არა თქვენი სამინისტრო თანამეგობრობის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების აღდგენისათვის?

— რა თქმა უნდა. და ამაშიც ძალიან გვეხმარება რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე უკვე მოგახსენეთ. ასევე, იანვარში, საქართველოს მრეწველობის სამინისტროსთან ერთად, დაიდო ხელშეკრულებები უკრაინის მანქანათმშენებლობის და სამხედრო მრეწველობის კომპლექსისა და კონვერსიის სამინისტროებთან, ბელორუსიის მრეწველობისა და დარგთაშორისო საწარმოების სახელმწიფო კომიტეტთან, ტაჯიკეთის მრეწველობის სამინისტროსთან.

ახალი ურთიერთობების მეოხებით უნდა მივიღოთ საკმარისი რაოდენობის მასალა-ნედლეული. კერძოდ, 8542 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 847 ტონა ფერადი [illegible]თონი, 1200 ტონა ლი[illegible] [illegible]0 ტონა პლა[illegible]

[illegible] საწარმოებში დახ[illegible] მუშაობა 1994 წელს ახალი პროდუქციის ათვისებისათვის. კერძოდ, ტრანსფორმატორების ქარხანაში მუშაობენ ახალი ტიპის ელექტროკონვექტორისა და ელექტროგამთბობის ასათვისებლად. ელექტრომექანიკურ ქარხანაში მიმდინარეობს ახალი მოდიფიკაციის დახურული ტიპის 5 და 15-ადგილიანი ელექტრომობილების საცდელი ნიმუშების დამზადება, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ ქარხანაში ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები მცირე სიმძლავრის სარეცხი მანქანების ათვისებისათვის, რომლის სერიული წარმოება ამ წლის ბოლოსათვისაა გათვალისწინებული. ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში დაწყებულია ტექდოკუმენტაციის დამუშავება ახალი მოდიფიკაციის კატარღის ასათვისებლად.

გარკვეული სამუშაოებია გაწეული არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით პროდუქციის განახლებისთვისაც. გემთსაშენ ქარხანაში ძირითადად დასრულდა ოკეანერიუმის დამზადება. მანქანათსაშენებელ ქარხანაში ეროვნული ჯარისა და ქართული პოლიციის ფორმის ტანსაცმლისათვის ვამზადებთ ღილებს, განმასხვავებელ და სამკერდე ნიშნებს, საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ ქარხანაში ათვისებულია პლასტმასის ყუთების წარმოება. საავეჯო საწარმოო გაერთიანებაში დავნერგეთ ახალი სახის სასადილო და სამზარეულო გარნიტურების გამოშვება, ხის დამმუშავებელ ქარხანაში ადგილობრივი ნედლეულის — ბამბუკის გამოყენებით ათვისებულია მაგიდების, სკამების, ჯიხურების, თანამედროვე სტილის საბავშვო საწოლების წარმოება, ტყავის ქარხანაში ამოქმედდა საამქრო, რომელიც დამუშავებული ტყავის ნარჩენი მასალისაგან ამზადებს სასარჩულე ტყავის ნაწარმს, ამუშავდა უბანი, რომელიც ნარჩენებისაგან ქამრებს, ხელჩანთებს და საათის სამაჯურებს ამზადებს.

მოკლედ, გულხელდაკრეფილნი არ გახლავართ და სამომავლო პერსპექტივებსაც იმედის თვალით შევყურებთ.

ესაუბრა
გივი თევზაძე.

«არაგვი ბიზნეს ბანკმა»
განაახლა
სავალუტო
კრედიტების
გაცემა
თვიური 20-25 პროცენტის დარიცხვით.
კრედიტი გაიცემა მყარი გარანტიით.
მოგვაკითხეთ ძველ მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, № 4.
ტელ: 99-82-23, 93-25-94
15დან 17 საათამდე.

ახალი სახელები

როგორ გავიხარეთ...

ჯილდოებით ხელდამშვენებული დაბრუნდა ამ დღეებში ხარკოვიდან თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მეშვიდეკლასელი ეკა შამანაური. ნორჩი პიანისტი თავის მეგობრებთან — მეშვიდეკლასელ ელენე ბერიევასა და მერვეკლასელ ნათია ქავთარაძესა და თამარ კორძაძესთან ერთად, მონაწილეობდა ვლადიმერ კრაინევის ახალგაზრდა პიანისტთა მეორე საერთაშორისო კონკურსში. ეკა შამანაურმა (პედაგოგი — მარინე გელაშვილი) საკმაოდ რთული პროგრამა წარმოადგინა მსმენელთა წინაშე. პირველ და მეორე ტურებში მისი შესრულებით აჟღერდა ბახის, ჰაიდნის, მოცარტის, რახმანინოვის, კოსენკოს, ლისტის, ლაღიძის საფორტეპიანო ნაწარმოებები, სპეციალურად კონკურსისათვის შექმნილი კომპოზიტორ ლუდმილა შუკაილოს „ექსპრომტი“. მესამე ტურში კი თბილისელი გოგონა ხარკოვის საოლქო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვიდა და ბეთჰოვენის პირველი საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა.

ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელსაც გამოჩენილი პიანისტი ვლადიმერ კრაინევი თავმჯდომარეობდა, ეკას გადაეცა კონკურსის დიპლომი. მანვე დაიმსახურა ორი პრიზი: ერთი — გერმანელი მუსიკოსების მიერ დაწესებული — კლასიკური (ჰაიდნის ფა მაჟორული) სონატის საუკეთესო შესრულებისათვის და მეორე — მოსკოვის მინიატურების თეატრისა — სპეციალურად კონკურსისათვის შექმნილი ლუდმილა შუკაილოს „ექსპრომტისათვის“. ელენე ბერიევას წილად ხვდა პრიზი არტისტულობისათვის.

თბილისის სამუსიკო გიმნაზიის დირექტორმა გივი ხატიაშვილმა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტისაგან მიიღო ბარათი, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია თბილისელ მოსწავლეთა მაღალი საშემსრულებლო დონე. ხარკოვის მუსიკალური სასწავლებლის დირექციამ კი, სადაც სასწავლებლის მიწვევით კონცერტი გამართა ეკა შამანაურმა, ასეთი შინაარსის წერილი გამოგზავნა: „ჩვენ აღტაცებული ვართ მაღალი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით, მამაცობითა და თავდადებით, საქართველოს მუსიკოსებმა რომ გამოავლინეს მათი სამშობლოსათვის ესოდენ მძიმე დღეებში. დაე, დადუმდნენ ქვემეხები და მხოლოდ მუზამ ილაპარაკოს“.

ეკა შამანაურმა რამდენიმე მიწვევა მიიღო. 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სევასტოპოლის მუსიკალურ ფესტივალზე მსმენელებს გააცნობს თავის საშემსრულებლო ხელოვნებას. ივლისში საფრანგეთის ქალაქ კოლმარის ვლადიმერ სპივაკოვის საერთაშორისო ფესტივალზე გამოვა და შეასრულებს „ესპანურ რაფსოდიას“. ფესტივალის დღეებში იგი ორი კვირის განმავლობაში „მაისტერ-კლასში“ იმეცადინებს. ოქტომბერში ეკა ხარკოვის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მონაწილე იქნება.

მართლაც რომ გაგვახარა ნორჩმა პიანისტმა ამ შეჭირვებულ და პრობლემებით დამძიმებულ დროს. იგი, ალბათ, ხარკოვის ფესტივალზეც ვერ წარდგებოდა, რომ არა მეცენატები — ფირმა „ბერიკა“ და მისი პრეზიდენტი ნატალია ჩხიკვაძე, კომერციული ბანკი „ტბს“ და ფირმა „დაჯიტური“, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს კონკურსანტს.

ნინო გაბრიაძე.

●

სურათზე: უკრავს ეკა შამანაური.

სარედაქციო ფოსტიდან

გაგვყვლიფეს!..

თუ წინათ პროფესიული სრულყოფისათვის ვიწერდით რუსულსა და საზღვარგარეთულ ჟურნალებს, ახლა ამის საშუალება აღარ გვაქვს. პირადად მე ვიწერდი 15-20 ჟურნალს, ახლა კი ვეღარც ერთს ვერ ვიწერ.

როგორც ინგლისისა და შეერთებული შტატების საზოგადოებების წევრი ამ ქვეყნებიდან წლების მანძილზე ვიღებ ჩემი სპეციალობის ჟურნალებს, რომლებიც ამჟამად ჩემი პროფესიონალიზმის მაღალ დონეზე ყოფნის ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ აი, 17 მარტს მივიღე დეპეშა მთავარი ფოსტამტიდან, რომელიც მატყობინებდა, რომ სასწრაფოდ გამოვცხადებულიყავი საზღვარგარეთული გზავნილის (ბანდეროლის) მისაღებად. მისვლისთანავე მომთხოვეს 1,5 დოლარის (?!) გადახდა. როცა განვუცხადე, რომ სამსახურში მხოლოდ კუპონებს მაძლევენ და დოლარები არ გამაჩნია, „შევეცოდეთ“ და „დამთანხმდნენ“, გადამახდა 450 ათასი კუპონი (ჩემი რამდენიმე თვის ხელფასი!). როცა ვკითხე, თუ რაში მახდევინებდნენ, მიპასუხეს, რომ იმ ჟურნალში, რომელიც ყოველკვარტალურად მომდის ინგლისიდან და რისი გადმოგზავნის ფულიც ინგლისურ მხარეს უკვე გადახდილი აქვს...

რა არის ეს, როდემდე გაგრძელდება ჩვენი ყვლეფა?

რევაზ ჟორდანია.
პროფესორი.

ბატონო რედაქტორო! ჩვენ ხშირად გვსმენია ლეკიანობის შედეგად ქართლ-კახეთში დატრიალებული უბედურების შესახებ. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გვესაუბროთ იმ პერიოდზე, რამაც ასეთი მძიმე კვალი დააჩნია ქართლ-კახეთის ისტორიას.

გიორგი ბუჯაბიძე,
ლანჩხუთის რაიონი.

მწარე წარსული

მამალიც აღარ ყიოდა

ლეკიანობა შაჰ-აბას პირველიდან იღებს სათავეს. სწორედ მან ჩამოაცილა „ჰერეთს აღმოსავლეთ განაპირა თემი, და სამმართველოდ წახურელ ალიბეგს უწყალობა, სულთანის პატივში აიყვანა და შაჰის მფარველობის ქვეშ გამოაცხადა... რომლის შემდეგაც კაკ-ენისელის (ძველი ჰერეთის) აღმოსავლეთი ნაწილი კახეთს ჩამოსცილდა და ამით ელისუს სასულტანოს საფუძველი ჩაეყარა“, — წერს ნ. ბერძენიშვილი. კახეთის სამეფოს აღმოსავლეთმა საზღვარმა ყანი-ყობიდან, რომელსაც ადრე შაქის სახანოსა და კახეთს შორის მიჯნა ეკავა, მდ. ყაფუჩაიზე გადმოინაცვლა. მართალია, ამ ფაქტს ქართველები არ ურიგდებოდნენ და ელისუს სულტნის სამფლობელოს ისევ საქართველოდ თვლიდნენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა. სასულტნოს გაჩენა XVIII საუკუნის დამდეგიდან ფართოდ უხსნიდა გზას წახურელ მოახალშენეთა გადმოსვლა-დასახლებას კახეთის ველებში. გარდა ამისა, ელისუს მფლობელი იმთავითვე კახეთის სამეფოს მტრულ სახელმწიფოთა მსახური გახდა და ხან ირანის, ხან კიდევ ოსმალეთის მფარველობითა და წაქეზებით, ქართლ-კახეთის დარბევაში მონაწილეობდა.

მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში მდ. ალაზნის გაღმა მდებარე, კახურ სოფლებში თანდათანობით მომრავლდნენ დაღესტნიდან ჩამოსახლებულნი, — ავარიელები, წახურელები და სხვა. ისინი დროთა განმავლობაში კახეთის მიწებს ეუფლებოდნენ. აღმოსავლეთ კახეთში ისეთივე ვითარება იქმნებოდა, როგორც XVI საუკუნის მიწურულს — სამცხე-საათაბაგოში. სუნიტური გამაჰმადიანობის მიმდევარი ჭარელი არისტოკრატები მიწას მხოლოდ გაოსმალებულ ქართველებს უწილადებდნენ და მწარმოებელ ფენასაც აიძულებდნენ, რომ რჯული შეეცვალა. ასეთ გამაჰმადიანებულ და დამონებულ ქართველ გლეხებს შემდეგში ეძახდნენ „ინგილოებს“, რომლებიც აზერბაიჯანული მოდგმის „შულალეებთან“ ერთად საინგილოს „ახალი ბატონების“ ყმებად იქცეოდნენ. ქართლისა და კახეთის დაპყრობის მოსურნე ოსმალები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ დაღესტნელ ფეოდალებს. ოსმალეთის სულთანი ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლას ალაჰის სათნო საქმედ აცხადებდა და დაღესტნელებს კიდევ უფრო დაუნდობელი ომისათვის მოუწოდებდა.

ქართლ-კახეთისთვის შექმნილ საბედისწერო ვითარებაში ოსმალო დამპყრობლების მფარველობით აღმოსავლეთ კახეთში დაღესტნელი ფეოდალ-აღალარების ბატონობა განმტკიცდა და ეს კუთხე საბოლოოდ მოსწყდა დედა სამშობლოს. XVIII საუკუნის ოციანი წლებიდან კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი კიდევ უფრო ვიწროვდება. იგი მდ. ყაფუჩაიდან დასავლეთით, გავაზის წყალზე ინაცვლებს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა კიდეც ჭარელ ლეკებს მათ მიერ მიტაცებული ქვეყანა.

ასე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ კახეთში ჭარ-ბელაქნელი აღალარების სახელმწიფო, რომელმაც მალე ელისუს სასულთნოც დაიქვემდებარა და, დაღესტნელ ფეოდალ-აბრაგთა თუ ოსმალეთის სულთნის მხარდაჭერით ზურგგამაგრებული, ქართლ-კახეთს მოსვენებას არ აძლევდა. ამის გამო თეიმურაზ მეორესა და დედამისს, ანა დედოფალს ჯერ კიდევ ერეკლეს დაბადებამდე ლეკების შიშით სხვადასხვა ადგილებში უხდებოდათ მოხეტიალე ცხოვრება: ხან თელავში, ხან მანავში, ხან მალაროში. კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა ანა დედოფლისა და დავითის, ანუ იგივე იმამყული-ხანის სიკვდილის შემდეგ. თურქებისა და ლეკების ძალმომრეობამ კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული გახადა ფშავში გახიზნულიყო.

ლეკთა მოთარეშე რაზმებს აღარ სჭირდებოდათ შორეული კლდე-ღრეების გადმოვლა. ისინი ახლა უკვე დაუბრკოლებლად ესხმოდნენ თავს ბარის სოფლებს და ტყვეების ყიდვა-გაყიდვას ეწეოდნენ. იმ დროისათვის შეუძლებელი გამხდარა ცხოვრება ციხე-სიმაგრის გარეშე. კახეთში მოლებს თავისუფლად დაუწყიათ ლოცვა და ქართველების ძალით გამაჰმადიანება. ვაჭრობა თითქმის შეწყვეტილა, წვრილი, კუსტარული მეურნეობა მუშახელის სიმცირის გამო დაცემულა და გაპარტახებულა.

XVIII საუკუნის ერთი საბუთის მიხედვით ქართლში „საციციანო ასრე გაოხრებული იყო, რომ ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია“. მსგავსი მოვლენები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა დროს ხშირად ყოფილა: „თათრებმა და დაღესტნელებმა ისე გაანადგურეს ეს კურთხეული ქვეყანა, რომ საშინელ უდაბნოდ აქციეს და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არა აქვს, თუ რა არის საამური ცხოვრება. ის მიწურში ჩამალულა და მხოლოდ მშვიდობიანობას ეძებს, მაგრამ ვერ ჰპოულობს, ვინაიდან საშინელი ლეკი თვით ამ საფლავშიც ესხმის თავსო“ — წერს რეინეგსი.

ერეკლემ თურქეთიდან მოიყვანა ბერძენი ხელოსნები, რომელთაც ახტალის მონასტრის მიდამოებში ხელი მოჰკიდეს ვერცხლის საბადოს დამუშავებას. შემდეგ ალავერდის ტერიტორიაზე გაიშალა სპილენძის მადნის ათვისების სამუშაოები. 1763 წ. 2000 ბერძენი გადმოსახლდა საქართველოში მადნის დასამუშავებლად. 7 წლის შემდეგ კიდევ ორი ახალი ქარხანა ჩადგა მწყობრში — ალავერდისა და შამბლუღისა. ეს საბადოები ერეკლეს აძლევდა 60.000 მანეთის შემოსავალს. ამ თანხას დიდი ადგილი ეკავა სახელმწიფო ბიუჯეტში. 1785 წ. 20 სექტემბერს თერთმეტიათასიანი მეომრისგან შემდგარი რაზმები თავს დაესხა ახტალას, აიღო და დაანგრია, 845 ტყვე წაიყვანა, ბევრი ფული, ვერცხლი, სპილენძი და სხვა სიმდიდრე გაიტაცა. ახტალის საბადოს განადგურებით ქართლ-კახეთის სამეფომ უდიდესი ზარალი განიცადა. სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი არტერია მოისპო და ამას კიდევ დაემატა ის აუცილებელი ხარჯები (5000 მანეთი), რომელიც ერეკლეს უნდა გადაეხადა ომარ-ხანისთვის.

უაღრესად დიდი იყო ქართველი ხალხის მწუხარება ერეკლეს გარდაცვალების გამო. დაბალი ფენის ხალხის გლოვა ყველაზე უფრო ერთი წუხილით გამოიხატებოდა: ერეკლეს შემდეგ ვინ მოგვიგერიებს ლეკებს, ვისი წინამძღოლობით ვიბრძოლებთ დაღესტნიდან მოვარდნილი ნიაღვრის შესაჩერებლადო. მართალია რუსეთთან შეერთება ფართოდ გახმაურდა როგორც ირანში, ისევე თურქეთსა და დაღესტანში, მაგრამ ლეკთა ბელადები აინუნშიაც არ აგდებდნენ ამ მეტად დიდმნიშვნელოვან ფაქტს. 1800 წ. აგვისტოს ბოლოს ომარ-ხანი გამალებით ემზადებოდა ქართლ-კახეთზე კიდევ ერთხელ სალაშქროდ. 7 ნოემბერს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა მდ. იორის ნაპირზე სოფ. კაკაბეთთან. ომარ-ხანის 20.000-იანი რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა 3000-მდე ქართველი მებრძოლი ბაგრატ და იოანე ბატონიშვილების სარდლობით და 1224 კაცისაგან შემდგარი რუსთა რაზმი გენერალ ლაზარევის წინამძღოლობით. სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ომარ-ხანის დამარცხებით დამთავრდა.

1803 წლის 21 ოქტომბერს დაღესტნელთა და ჭარელთა 10.000-იანმა რაზმმა სურხაი-ხანისა და ავარელი ალისკანტის მეთაურობით მდ. ალაზანი გადალახა და თავს დაესხა სოფ. ფეიქაროსთან მდგომ მელიქოვის რაზმს. სურხაი-ხანი სასტიკად დამარცხდა. დამარცხდნენ ჭარელებიც.

1804 წ. 15 იანვარს მოხდა საბედისწერო ბრძოლა ზაქათალის ხეობაში. რუსთა რაზმებს წინ მიუძღოდა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი, რომლის ზურგში კვლავ ქართველთა ქვეითი რაზმი იყო. მათ მისდევდა კაზაკთა პოლკი, შემდგომ კი მიდიოდა ეგერთა პოლკის ორი ბატალიონი. მოულოდნელმა და ინტენსიურმა სროლამ ვიწრო ხეობაში გულიაკოვის პოლკები არივ-დარია. გენერალი გულიაკოვი მოკლეს. ბევრი ქართველი და რუსი მებრძოლი ღრმა ხეობაში გადაიჩეხა. მათ შორის იყვნენ გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი და გრაფი მიხეილ ვორონცოვი, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს.

1826 წ. სექტემბრიდან გაჩაღდა აბრაგული თავდასხმები კახეთის სოფლებზე. 1832 წელს მთავარმმართველ როზენის განკარგულებით ჩამოყალიბდა ე. წ. ლეკური საკორდონო ხაზი, რომელიც, ფაქტობრივად, ჯარის პოლიტიკურ მნიშვნელობას ცვლიდა; ლეკური საკორდონო ხაზი გადიოდა დაღესტნიდან საქართველოში გადმომავალ გზებზე. იგი გაჭიმული იყო პანკისის ხეობიდან შემოყოლებული, ვიდრე ელისუს სულტნის სამფლობელომდე. ამ ვეებერთელა მანძილს ძირითადად ქართველები დარაჯობდნენ. საყარაულოდ პერიოდულად გამოდიოდნენ სახალხო რაზმები თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან.

საკორდონო ხაზის სფეროში საკმაოდ ბევრი საყარაულო იყო. ეს საყარაულოები იდგნენ აბრაგთა შემოსევების გზაზე — ბეჟანიანში, ჭარათუბანში, ლაგოდეხში, ფშავში, შაქრიანში, გრემში, შილდაში, ყვარელში, ნაფარეულში და სხვაგან.

1834 წლიდან მიურიდებს სათავეში ჩაუდგა შამილი, რომელიც სისტემატურად ესხმოდა საკორდონო ხაზზე განლაგებულ რუსთა რაზმებს. 1848 წელს კვლავ გრძელდებოდა თავდასხმები კახეთის სოფლებზე. გაზაფხულზე მიურიდთა დიდი რაზმი თავს დასხმია სოფ. გრემს და ბევრი ტყვე წაუყვანია. შამილის გამუდმებული თარეში აღმოსავლეთ კახეთში და მის ახლოს ძველ „ლეკიანობას“ წააგავდა.

შამილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთის სულთანთან. მას ჰპირდებოდნენ, რომ თბილისის აღების შემდეგ ამიერკავკასიის მეფობას მისცემდნენ. შამილმა ოსმალეთისგან ოფიციალურად მიიღო საქართველოსა და ჩერქეზეთის არმიის გენერალისიმუსის წოდება.

1854 წ. შამილმა მეორედ ილაშქრა საქართველოში. იგი დარგოდან დაიძრა. ცდილობდა სამხრეთისაკენ გაჭრას, რომ უშუალოდ დაკავშირებოდა ოსმალეთს. მის განკარგულებაში 12 000 კაცი იყო. მიურიდები შეიჭრნენ კახეთში. ხანმოკლე ბრძოლით დაიკავეს სოფ. შილდა, რის შემდეგაც ერთმა რაზმმა — ყაზი მუჰამედის სარდლობით, ალაზნის ნაპირები დაარბია. მიურიდები გაიჭრნენ წინანდლისაკენ, სადაც გაძარცვეს თავად ჭავჭავაძის სახლი, დაატყვევეს ქალები და ბავშვები. ნადავლით დატვირთული მძარცველები მოსალოდნელი სრული განადგურების შიშით უკან გაბრუნდნენ. მდ. ალაზანზე მოხდა ბრძოლა, მაგრამ მათ მოახერხეს ტყვეების გატაცება დაღესტანში.

ოსმალეთთან მიმდინარე ომის შენელებამ მეფის რუსეთს საშუალება მისცა დაღესტანში გადაესროლა ახალი ნაწილები. რუსთა რაზმებმა მეფისნაცვალ ბარიატინსკის და გენერალ გრიგოლ ორბელიანის სარდლობით ყოველი მხრიდან შეავიწროეს მიურიდთა შეთხელებული რაზმები. 1859 წლის 14 მარტს გრ. ორბელიანი წერს დ. ჯორჯაძეს: „ახლა ჩვენია დრო! ამისთანა შემთხვევას ძნელადღა იპოვით: ჩაჩანი მთლად ჩამოეცალა შამილსა; თვით დაღესტანშიაც ყრუ არეულობაა, ხალხი მოთმინებიდან გამოსულია ესოდენის სისხლისღვრითა და გაოხრებით“.

1858 წლის განმავლობაში და 1859 წ. დასაწყისში რუსებმა დაიკავეს საჩიჩნო. 1859 წლის 1 ა[illegible]რილს დაიპყრეს შამილის რეზიდენცია, ხოლო 25 აგვისტოს — მისი უკანასკნელი ციხე-სიმაგრე გუნიბი. დამარცხებული შამილი ტყვედ დანებდა რუსთა რაზმებს.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდა ლეკთა განუწყვეტელი შემოსევების ალაგმვას. ვინ მოთვლის რამდენი სიცოცხლე, ფული და საომარი იარაღი „წაიღო“ მოთარეშე აბრაგთა თავდასხმების შესაჩერებლად.

მას შემდეგ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩრდილოკავკასიელი აბრაგების ნაშიერებში ამოიძირკვა საქართველოს გაძარცვის, დამონებისა და მითვისების სურვილი. პირიქით, როგორც დღევანდელობამ დაგვარწმუნა, კიდევ უფრო იმატა ზოგიერთ მათგანში მრავალსაუკუნოვანმა ზრახვამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დატაცებისა. ჩრდილოეთკავკასიის კონფედერაციის მესვეურები ცდილობენ აფხაზ სეპარატისტებთან, ქართველი ხალხის მოღალატეებთან კავშირით, რუსეთის რეაქციონერებთან გარიგებით დაკარგული პოზიციების აღდგენას და თავიანთი დიდი ხნის სურვილის განხორციელებას. ამიტომ ჰქიდია შამილის დიდი სურათი ჯოხარ დუდაევის კაბინეტში, იმისათვის დაძრწის მუსა შანიბოვი ჩეჩნეთში თუ ყაბარდო-ბალყარეთში, ჩრდილო ოსეთში თუ კრასნოდარის მხარეში, ამისთვის კრეფენ ბოევიკებს, მოხალისეებს, ქრთამითა და ჩვენს სახლებში ჩასახლების დაპირებებით აბრმავებენ, ისლამის რჯულზე აფიცებენ და კბილებამდე შეიარაღებულებს აგზავნიან ჩვენდა მოსასპობად და ამოსაძირკვავად.

ჩვენ კი იმის მაგივრად, რომ ერთ მუშტად შევიკრათ და ერთი სულით ავენთოთ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, შუაზე ვიყოფით და ერთმანეთს ვებრძვით მათს გასახარად და საამებლად.

დავფიქრდეთ, დრო აღარ ითმენს!

ვალერიან
მამუკელაშვილი.

ინფორმაცია

გრიგალი ზესტაფონში

10 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ზესტაფონში დასავლეთიდან გრიგალი შემოიჭრა. ძლიერმა ქარბორბალამ ბევრგან მოთხარა ხეები, ჩაწყვიტა ელექტროგადამცემი ხაზები, წააქცია ღობეები. ქვალითის დასახლებაში საცხოვრებელ ბინებსა და კერძო სახლებს სახურავები გადახადა. დაზარალდა ფეროშენადნობთა ქარხნის კლუბი, ქვესადგური, საცურაო აუზი და სხვა.

საათნახევარს ბობოქრობდა სტიქია და თავისი კვალიც დაატყო ქალაქსა და სოფლებს. ასეთი გრიგალი 60 წელიწადია არ ახსოვთ ზესტაფონის მკვიდრ მხცოვან ადამიანებს. გამგეობასთან შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც აზუსტებს სტიქიისაგან მიყენებულ ზარალს.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროში განუკითხაობაა ჰუმანური დახმარებით შემოსული მედიკამენტების აღრიცხვიანობაში. სამინისტროს სახელზე შემოსული მედიკამენტები უსისტემოდ არის განთავსებული სხვადასხვა ბაზებში, სადაც ტვირთებს იღებენ წონისა და ყუთების რაოდენობის მიხედვით, სპეციფიკაციის გარეშე. მაგალითად, სპეციალიზებული ფარმაცევტული ბაზის შემოწმებისას დადგინდა, რომ საბერძნეთიდან და თურქეთიდან ჰუმანური დახმარებით მიღებული მედიკამენტები არ იყო შემოსავალში აღებული.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოებმა თანამდებობებიდან გადააყენეს 58 ხელმძღვანელი პირი, შესაბამისი უწყებების წინაშე დაისვა 160 თანამდებობის პირის გათავისუფლების საკითხი. მათგან დღეისათვის მხოლოდ 100 გათავისუფლდა. სხვადასხვა დარღვევებისათვის 254 პირს დაეკისრა 8,6 მილიონი კუპონის ოდენობის ფულადი დარიცხვა. 254 შემოწმების მასალა შემდგომი ძიებისათვის გადაეცა პროკურატურის ორგანოებს.

თბილისი. 12 აპრილს, დილის 6.00 საათზე ცეცხლი გაუჩნდა „თბილსრესის" მე-7 ბლოკის 6 კილოვოლტის ძაბვის კაბელებს.

ხანძარი ლიკვიდირებულია. მიმდინარეობს მიზეზებისა და ზარალის დადგენა.

ბათუმი. ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა ანატოლ ფრანსის ორმოქმედებიანი კომედია „მუნჯი ცოლი".

დამდგმელი რეჟისორია სერგო ბაზიაშვილი, მხატვარი ანტონ ფილიპოვი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის თენგიზ შამილაძეს, ქორეოგრაფი — ნუგზარ შალიკაშვილი.

თიანეთი. ეკოლოგიის პოლიციის სამმართველოდან გვაცნობენ, რომ თიანეთის რაიონში გამგებლის უშუალო ნებართვით მოიჭრა 100 კუბომეტრი ძვირფასი ჯიშის — წიფლის ხე, რომელიც სარგებლობისათვის გადაეცა ფირმა „თიანეთს".

ცხინვალი. აქ განლაგებული ქართველთა სამშვიდობო ჯარების სამხედრო შტაბიდან შეგვატყობინეს, რომ გასული დღე-ღამის განმავლობაში რეგიონში მდგომარეობა ძირითადად სტაბილურია. რაიმე გართულებას ადგილი არ ჰქონია. ქალაქსა და მიმდებარე სოფლებს რეგულარულად მიეწოდება ელექტროენერგია, ცხვება პური.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბევრ შემთხვევაში ჰუმანური არხებით შემოსული საკვები პროდუქტები განაწილებულია არამიზნობრივად. კერძოდ, 1993 წლის მაისში იტალიიდან შემოტანილი ჰუმანური დახმარების ფქვილის ნაწილი — 118,0 ტონა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა გაანაწილა და გაგზავნა ჭიათურაში, ზესტაფონში და საჩხერეში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთათვის გასანაწილებლად. აღნიშნული რაოდენობიდან 66,8 ტონა ფქვილი პურკომბინატის, რაიკოოპერატივებისა და ქალაქვაჭრობის მეშვეობით მოსახლეობაზე გაიყიდა, ხოლო ცაგერის რაიონში ლტოლვილებისათვის განკუთვნილი 84 ტონა ფქვილი უფასოდ დაურიგდა მოსახლეობას.

იაპონიის მთავრობის საჩუქარი

სურათებზე: ჰუმანური ტვირთი თბილისის აეროპორტში; გადმოტვირთვის დროს.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

გუშინწინ თბილისის აეროპორტში ჩამოფრინდა თვითმფრინავი, ილ-76, რომელმაც ჩამოიტანა საქველმოქმედო სამედიცინო დახმარება — 600 ცალი სამედიცინო კომპლექტი, რომელთა ღირებულებაა ერთი მილიონი დოლარი და საერთო წონა — 62,7 ტონაა. თვითმფრინავი ჩაიტვირთა დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში და ტვირთი წარმოადგენს იაპონიის მთავრობის საჩუქარს საქართველოს საავადმყოფოებისათვის.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჯანმრთელობის სამინისტროსთან კავშირში, კოორდინირებას გაუწევენ ტვირთის განაწილებას.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

მიუხედავად დღევანდელი ცხოვრების სიდუხჭირისა, ხვალინდელ დღეზე მაინც უნდა ვიფიქროთ. ეს გაჭირვება მალე გაივლის და დადგება დრო, როდესაც ახალი თაობა მთელი ენერგიით ჩაებმება განახლებული საქართველოს სისხლსავსე ცხოვრებაში. ახალ, დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ფართო კავშირები ექნება უცხოეთთან. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ცხოვრების ჩვეულებრივ ნორმად იქცევა.

ამ საქმეში თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, ეს საყოველთაოდ ცნობილია, ამ ხაზით ბევრი რამ კეთდება თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში. მისი კურსდამთავრებულები გამოირჩევიან ევროპული ენების საფუძვლიანი ცოდნით. მაგრამ დღეს და ხვალ მარტო ენების ცოდნა საკმარისი აღარ იქნება. უცხოეთში და უცხოელებთან მომუშავე სპეციალისტი კარგად უნდა იცნობდეს როგორც მშობლიურ ისტორიას, ისე დასავლეთის ქვეყნების ისტორიასა და ცივილიზაციას. ამ ხაზით ინსტიტუტში დაისახა სათანადო ღონისძიებანი. შეიქმნა უცხოეთთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის სპეციალობანი, რომელიც თანდათანობით ალბათ გაფართოვდება. პედაგოგიკის სპეციალობებზეც გაძლიერდება სათანადო ქვეყნების ისტორიისა და კულტურის სწავლება. მაგრამ ამ დისციპლინების უმაღლეს დონეზე სწავლებისათვის აუცილებელია გარკვეული საფუძველი, რაც აბიტურიენტს სკოლიდან უნდა მოჰყვეს. სამწუხაროდ, საშუალო სკოლებში სათანადო დონეზე არ დგას მსოფლიო ისტორიის სწავლება. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებშიც კი. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ მისაღებ გამოცდებზე არ მოეთხოვებათ მსოფლიო ისტორიის ცოდნა, გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიის პროგრამაში დამატებით შეიტანა საკითხები მსოფლიო ისტორიიდან. ამან უსათუოდ დადებითი შედეგი გამოიღო.

უცხო ენების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, მიმდინარე წელს საქართველოს ისტორიაში მისაღები გამოცდების პროგრამაში დამატებით შეიტანონ საკითხები მსოფლიო ისტორიიდან, ძირითადად ისეთები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ საქართველოს ისტორიასთან და რომელთა ცოდნის გარეშე უმაღლეს სასწავლებელში შემოსული სტუდენტი ვერ შეძლებს მოისმინოს და აითვისოს ინსტიტუტის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სათანადო საგნები. ეს აგრეთვე სტიმულს მისცემს საშუალო სკოლებში მსოფლიო ისტორიის შესწავლის გაძლიერებას. მით უმეტეს, რომ უკვე თანდათანობით იქმნება ახალი, უკვე ქართველი სპეციალისტების მიერ მომზადებული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები.

ქვემოთ წარმოვადგენთ იმ საკითხების სავარაუდო სიას, რომელთა შეტანაც განზრახულია მიმდინარე წლის მისაღები გამოცდების პროგრამაში: 1. ბერძნული კოლონიზაცია ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებზე; 2. ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს შექმნა და დაშლა. ელინიზმი; 3. რომის იმპერიის შექმნა და რომის სახელმწიფოს დაპყრობითი ომები; 4. ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება; 5. კარლოს დიდის იმპერია და მისი დაშლა. საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის სახელმწიფოების წარმოქმნა; 6. ჯვაროსნული ლაშქრობანი; 7. ასწლიანი ომი. ჟანა დარკი; 8. რეფორმაცია და რელიგიური ომები ევროპაში; 9. ტექნიკის განვითარება XV-XVI სს. ევროპაში და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები; 10. რენესანსი. ევროპის კულტურა XV ს. დასასრულსა და XVII ს. პირველ ნახევარში; 11. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნა XV-XVII სს; 12. რუსეთის იმპერიის წარმოშობა. პეტრე I; 13. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. 14. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია; 15. აშშ-ის შექმნა; 16. ნაპოლეონ ბონაპარტეს იმპერია; 17. ინგლისი XIX ს. პირველ ნახევარში; 18. რუსეთი XIX ს. პირველ ნახევარში; 19. გერმანიის გაერთიანება; 20. რუსეთი I მსოფლიო ომის წინ; 21. საერთაშორისო ურთიერთობანი XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში; 22. პირველი მსოფლიო ომი; 23. ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში და საერთაშორისო ურთიერთობანი II მსოფლიო ომის წინ; 24. მეორე მსოფლიო ომი.

ნოდარ ასათიანი,
თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს ისტორიისა და ქვეყანათმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი.

ქართული კინოს ფესტივალი სანქტ-პეტერბურგში

სანქტ-პეტერბურგი, (იტარ-ტას-საქინფორმის კორ.). „ჩვენ ჩამოვედით გულთბილი გრძნობებით აღსავსე და გვახსოვს ყოველივე ის, რაც ჩვენს კულტურებს აკავშირებს", — ასე მიმართა პეტერბურგელ კოლეგებს რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ. იგი მეთაურობს ქვეყნის კინემატოგრაფისტთა დელეგაციას, რომელიც ნევისპირა ქალაქში ჩამოვიდა საქართველოს ფილმების ფესტივალზე. დღესასწაული კინოს სახლში გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ჩხეიძის სურათის „დონ კიხოტის" ერთ-ერთი სერია და ალექსანდრე რეხვიაშვილის ახალი ფილმი „მიახლოება".

როგორც რეზო ჩხეიძემ განაცხადა, ქართული კინო ახალი შემოქმედებითი აღმავლობის რთულ პერიოდს განიცდის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მომხდარ ცხოვრებისეულ ცვლილებებს. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს დღევანდელი დღე, საქართველოს კინემატოგრაფი სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობს. იგი სპონსორთა დახმარებასაც იღებს, რამაც საშუალება მოგვცა ბოლო წლებში მოგვეწყო თბილისში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალი და ეროვნული კინოდათვალიერება „ოქროს არწივი", რომელზეც, სხვათა შორის, თავი გამოიჩინეს პეტერბურგელმა კინოს ოსტატებმა. ზაფხულში ეს ფესტივალი მეორედ გაიმართება, და როგორც მისი მომწყობნი იმედოვნებენ, რუსეთის კინემატოგრაფი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ამჟამად „ქართულ ფილმში", რომელსაც რეზო ჩხეიძე მეთაურობს, წარმოებაშია ჩაშვებული თხუთმეტი მხატვრული სურათი. აქტიურობას იჩენს რეჟისორთა ახალი თაობა, და, მათ შორის, ფესტივალზე ჩამოსული პაატა მილორავა და დავით ურუშაძე.

ამ სეზონში ეს პეტერბურგელთა მეორე შეხვედრაა ქართული კინოს ოსტატებთან. განვლილ ზამთარში ნევის ნაპირებზე სტუმრობდა ოთარ იოსელიანი, რომელიც რუსეთში თავისი ფილმების რეტროსპექტივაზე ჩამოვიდა. ასეთივე შემოქმედებითი ანგარიშით აპირებს პეტერბურგში ჩამოსვლას ერთ-ერთი წამყვანი ქართველი რეჟისორი ელდარ შენგელაია, სერგეი იუტკევიჩის მოწაფე.

ირაკლი ფირცხალავა

გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ექიმი ირაკლი კლიმენტის ძე ფირცხალავა.

დაიბადა თბილისში 1922 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის № 1 საავადმყოფოს ორდინატორად, შემდეგ იყო სამეანო გინეკოლოგიური განყოფილების გამგე, სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში. სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე მუშაობდა № 1 სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ქალთა კონსულტაციის განყოფილების გამგედ.

ირაკლი ფირცხალავა იყო 15 სამეცნიერო შრომის და გამოგონების ავტორი, ღრმად ერუდირებული, თავისი საქმის დიდი მცოდნე, სპეტაკი და პრინციპული. უაღრესად კეთილშობილი ადამიანი წავიდა ჩვენგან. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის ჯანმრთელობის დაცვის მთავარი სამმართველო; ვაკის რაიონის პოლიკლინიკური გაერთიანება; № 1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი.

ელგუჯა ჯანყარაშვილი

გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამსახურის პოდპოლკოვნიკი ელგუჯა ალექსანდრეს ძე ჯანყარაშვილი.

დაიბადა 1925 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობა დაიწყო მშობლიურ რაიონში მილიციის ოპერრწმუნებულად, შემდეგ კი მილიციის უფროსად და პენსიაში გასვლამდე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე სიღნაღის, ყვარლისა და დედოფლის წყაროს რაიონებში. პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, თავის ცოდნას და გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდებს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო (ორდენები, მედლები).

პრინციპული და გულისხმიერი, კეთილ საქმეში თანამდგომი და ყველას ჭირის მოზიარე, მზრუნველი მამა და მოსიყვარულე პაპა — ასეთი იყო ელგუჯა ჯანყარაშვილი. მისი ნათელი სახე არასოდეს დაავიწყდებათ მის კოლეგებსა და მეგობრებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს ხელოვნების ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის სამდივნო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ასოციაციის ხელოვნებათმცოდნეობის სექციის მდივანი, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, მრავალრიცხოვანი შრომებისა და სტატიების ავტორი, ხელოვნების კრიტიკოსი, მხატვარი

კარლო კაჭარავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენელი

ლევან ჩხიკვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

წლები ჩემი სიმდიდრეა

ღირსეულად განვლილი ცხოვრება

საქართველოში ყველა კუთხეს და რაიონს ჰყავს თავისი გამორჩეული ადამიანები, ვისაც დაუღალავი შრომით, მაღალი პასუხისმგებლობით, კაცთმოყვარეობითა და ვაჟკაცობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით საყოველთაო-სახალხო აღიარება აქვს მოპოვებული.

თერჯოლელებსაც ჰყავს ასეთი კერპი, ცენტრალური აფთიაქის მმართველი რევაზ ქუმბურიძე. მას არა მარტო თერჯოლაში, მთელს იმერეთში იცნობენ, როგორც სიკეთით სავსე, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, აგერ უკვე თითქმის ხუთი ათეული წელიწადია სიწმინდითა და ერთგულებით რომ უძღვება თავის დარგს.

ბატონი რეზო ქართველი პროვიზორების საოჯახო დინასტიის წარმომადგენელია. მამამისის ძმა — პროფესორი პავლე ქუმბურიძე და ბიცოლა პროფესიით პროვიზორები ყოფილან, მისი უფროსი ძმა — ბიძინა ქუმბურიძე ფარმაციის მეცნიერების დოქტორია და სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრას ხელმძღვანელობს, უმცროსი ძმა — გიორგიც ამ პროფესიისა გახლავთ.

თვითონ რევაზი განათლებული კაცის ისაკ ქუმბურიძისა და დავით კლდიაშვილის დისწულის მერი გოდაბრელიძის მესამე ვაჟი გახლავთ, რომელთაგან ჭარბად გამოჰყოლია იმერული ოჯახის საოცრად ამაღლებული ხიბლი, კულტურა, ხვალინდელი დღის ჭვრეტის მომადლებული ნიჭი.

ბატონმა რევაზმა 1947 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი და განაწილებით ჩხარის ცენტრალური აფთიაქის გამგის მოადგილედ დაიწყო მუშაობა. ჩვენთან საუბრისას მან დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონა თავისი პირველი მმართველი, დამსახურებული კაცი გრიგოლ ჯაბიშვილი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ბატონი რეზოს ცხოვრებაში. — ერთხელ გრიგოლმა ჩხარის ბაზარში შემიყვანა, — იგონებს იგი, — გამაოცა იმ დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ, გრიგოლისადმი რომ იჩენდნენ დიდებიცა და პატარებიც, აღარ იცოდნენ, რით ეცათ მისთვის პატივი. ამ პატარა დაუვიწყარ დეტალში დავინახე, როგორ აფასებს ხალხი ადამიანს. ეს ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო. მრავალი შემთხვევა გაიხსენა ბატონმა რევაზმა თავისი პრაქტიკიდან. თუ როგორ იხსნა სიკვდილის პირას მისული ავადმყოფები, ავტოკატასტროფაში მოყოლილი დასახიჩრებული მგზავრები. ბევრი მათგანი ოჯახებით დაუმეგობრდნენ მათი სიცოცხლის მხსნელს, ვინ იცის, უფასოდ რამდენი ავადმყოფისათვის გაუმართავს ხელი, რამდენი კეთილი რჩევა და დარიგება მიუცია სასოწარმიხდილი ადამიანებისათვის.

1950 წლიდან რევაზ ქუმბურიძე ხელმძღვანელობს თერჯოლის ცენტრალურ აფთიაქს, ამ ხნის მანძილზე იგი კეთილსინდისიერად და ერთგულად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობას, რაიონში სამედიცინო საქონლის შემოზიდვა-რეალიზაციის და სასოფლო აფთიაქების მომარაგების საქმეს. რესპუბლიკის დამსახურებული პროვიზორი ბატონი რევაზი რაიონის აქტივის შეუცვლელი წევრია, რაიონის მშრომელების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მან თავისი გულისწუხილიც გაგვანდო საქართველოს დღევანდელ დღეზე. მაგრამ ოპტიმისტი გახლავთ და მომავალსაც ნათელი თვალით უყურებს.

ბატონი რევაზი მალე სამოცდაათს გადააბიჯებს, ღმერთმა ქნას, კიდევ დიდხანს ევლოს ამ საკაიკაცო გზაზე.

ჰენრი შარიქაძე.

ქართული სოფელი

ახალი გაზეთი

შემწედ ქართული სოფლისა

განსაცდელში ჩავარდნილი საქართველოს სოფლის შემწეობისა და თანადგომის პატრიოტული და საპატიო მისია იკისრა ახალშექმნილმა საზოგადოებამ „ქართული სოფელი" (პრეზიდენტი — პროფესორი ბიძინა სარჯველაძე). იგი მიზნად ისახავს გააერთიანოს ყველა გულშემატკივრის ძალისხმევა სოფლის წელში გამართვისათვის. ამ მიზანს ემსახურება საზოგადოების გაზეთი „ქართული სოფელი" (რედაქტორი ვასო კასრაძე), რომლის პირველი ნომერიც ამ დღეებში გამოვიდა.

გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულ მეთაურ წერილში წარმოდგენილია ის პროგრამა, რომლის მიხედვითაც იგი სოფლის ბედ-იღბლით დაინტერესებულ მკითხველებს ჰპირდება სისტემატურად ესაუბროს შესაბამის თემებზე. რედაქცია ითვალისწინებს, რომ გლეხობას, სპეციალისტებსაც კი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისათვის ესაჭიროებათ რჩევა-დარიგება, თანადგომა, მიზანმიმართული ინფორმაცია. ყველაფერ ამას გაზეთი მკითხველს სთავაზობს რუბრიკით: „დეკადის თემა", „კომენტარი", „ცნობები სოფლებიდან", „ბაზრის ფასები", „გამრჯე მეურნე", „ქართული სოფლის ფოსტა", „მეცნიერის აზრი", „სიახლე კანონმდებლობაში", „შეკითხვა-განმარტება", „საქმიანი წრეების ცხოვრების ქრონიკა", „ბირჟის ამბები", „ფასები", „საოჯახო ქისა".

ამასთან, გაზეთი ვარაუდობს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბაღ-ვენახების, მინდვრების, პლანტაციების, ფერმების მოვლა-პატრონობის თაობაზე რჩევა-დარიგებებს, რომლებიც მკითხველებს წლების მანძილზეც გამოადგებათ. ამით იგი ხაზს უსვამს იმას, რომ სურს იყოს რაც შეიძლება საქმიანი, პრაქტიკული, რითაც მკითხველებს თავიანთი პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

დაუშრომელი კომენტატორი

ჯამლეტ ხუხაშვილი 50 წლისაა



მხატვარი შოთა შანიძე ამ მეგობრული შარჟით დაბადების 50 წლისთავს ულოცავს გამორჩეული ხმის ტემბრით დაჯილდოებულ დაუშრეტელი ენერგიის სპორტულ კომენტატორს ჯამლეტ ხუხაშვილს — პიროვნებას, რომელიც შესანიშნავად გვიჩვენებს, როგორ უნდა იღვაწო საყვარელი საქმიანობით [illegible] ქვეყნის წარმოსაჩენად.

ჯამლეტს, როგორც სპორტულ კომენტატორს, ქვეყანა იცნობს, მაგრამ, შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ იგი რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებისა და ჭაბუკთა პროფესიული გუნდის „კაქტუსის" უფროსიც არის.

ჩვენი რედაქციაც ულოცავს საყვარელ და ნიჭიერ კაცს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და უსურვებს კვლავაც ერთ-ერთ ბურჯად დიდხანს ედგეს ქართველთა და ებრაელთა გაუბზარავ მეგობრობას, ქართული სპორტის წარმატებების მაუწყებელი ყოფილიყოს იგი კიდევ მრავალ წელს!

ძიუდო

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დარბაზში დამთავრდა ძიუდოისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომლის გამარჯვებულნიც წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მამუკა მახათაძე, გიორგი რევაზიშვილი, გერასიმე ხაბულიანი, ბადრი ოგბერაშვილი, ივერი ჯიქურაული, მევლუდ ლობჟანიძე და ლევან ჯაფარიძე.

ჭადრაკი

დღეს ჭადრაკის სასახლეში იწყება უმაღლესი ლიგის ქალთა ეროვნული ჩემპიონატი. ტურნირის 16 მონაწილე გაითამაშებს მსოფლიო პირველობის ზონალური ასპარეზობის 3 საგზურს. დაწესებულია აგრეთვე საერთაშორისო ოსტატის ნორმა.

ჩოგბურთი

ამერიკის ქალაქ ამელია-აილენდში (ფლორიდის შტატი) დასრულებული საერთაშორისო ტურნირი მოიგო ესპანელმა არანტა სანჩეს-ვიკარიომ, რომელმაც ფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა არგენტინელ გაბრიელა საბატინის 6:1, 6:4.

შეჯიბრების საპრიზო ფონდი იყო 400.000 დოლარი.

სიცოცხლის ხელყოფისათვის

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ა. წულუკიანის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე სულიკო ჩიხლაძის ბრალდების გამო.

ზონის მკვიდრი, 1917 წელს დაბადებული თამარ შავნგირაძე პენსიით ირჩენდა თავს. ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ სახლში შემავალი ელექტრომავთულები გადააჭრევინა მეზობელს — იქნებ ელექტროენერგიით სარგებლობის გადასახადისაგან განთავისუფლებამ ყოფა გამიადვილოსო...

განზრახ დანაშაულისათვის წარსულში ხუთჯერ ნასამართლევი ს. ჩიხლაძის მოქმედებამ ამჯერად მარტოხელა მოხუცის სიცოცხლე იმსხვერპლა. ალკოჰოლით გათამამებული ბოროტმოქმედი ყაჩაღურად დაესხა თავს თ. შავნგირაძის ბინას, მოკვლის მუქარით ფული მოსთხოვა მოხუცებულს, ხოლო როცა უარი მიიღო, ნახევარი საათის განმავლობაში უმოწყალოდ და სასტიკად სცემა და აწამა. სხეულის დაზიანებების შემდეგ თ. შავნგირაძე ადგილზე გარდაიცვალა, მკვლელმა კი 60 ათასი კუპონი გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლო კოლეგიამ დამნაშავედ ცნო ს. ჩიხლაძე და განუსაზღვრა მას სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

საწარმოო გაერთიანება
«ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა»
მომხმარებელს სთავაზობს

ორი სახის ცენტრიდანულ კონსოლურ ელექტროტუმბო „1კ-50-32-125" და „2კ-65-50-160", რომელთა მოქმედების სფერო ძალზე ფართოა. ისინი ეფექტიანად გამოიყენება მრეწველობაში, მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში ფართობების მოსარწყავად, კომუნალურ მეურნეობებში მაღლივი სახლების წყალმომარაგებისათვის და სხვა დანიშნულებით. „1კ-50-32-125"-ს შეუძლია 1 საათში 20 მეტრის სიმაღლეზე გადატუმბოს 12,5 კუბური მეტრი, ხოლო „2კ-65-50-160"-ს 32 მეტრის სიმაღლეზე — 25 კუბური მეტრი წყალი, ან წყლის მსგავსი სითხე. აგრეგატები საექსპლოატაციოდ მარტივი და საიმედოა.



საწარმოო გაერთიანება აგრეგატებს ყიდის როგორც მთლიანად, ისე ცალკე ტუმბოებად, ძრავის გარეშე. იყიდება ნაღდადაც და უნაღდო ანგარიშსწორებითაც.

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე:
ქუთაისი, გუგუნავას ქ. № 1,
საწარმოო გაერთიანება ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის გასაღების განყოფილება.
ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია: 6-27-98, 6-75-98.

6-დან 18-აპრილამდე მხოლოდ კინოთეატრ «ივერიაში»
(რესპუბლიკის მოედანი)
ახალი გასართობი კინოკომედია
«გულთამპყრობელი»
კინოვარსკვლავის სასიყვარულო თავგადასავლები
(საფრანგეთი — იტალია)
დას. 12. 14. 16 სთ.

იყიდება

ორსართულიანი სახლი თბილისიდან 25 კმ; მცხეთის რაიონის სოფელ ხეკორძში, ავტოსადგომით. I სართული კაპიტალურია, სათავსოებით და ორი პატარა ოთახით. II სართული ხის, ფინური ტიპისაა, ორმაგი ფანჯრებით. სამი ოთახი, სამზარეულო, გრძელი აივნით, ავეჯით, ბილიარდით, 1500 კვ. მ. ეზოთი, რომელსაც ჩამოუდის მდინარე ხეკორძულა. სამი მხრიდან არტყია ტყე, აქვს ორი საკუთარი წყარო, მესამე წყარო ძრავის საშუალებით ბინაშია შეყვანილი. ეზოში არის მსხმოიარე ხეივანი, რვა ძირი დიდი კაკალი და ყველანაირი ხეხილი.
ფასი 20 000 დოლარი.
ტელ.: 22-46-40; 29-81-96 (ნუკრი).

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible].
ინდექსი 66434